დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ -ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

მაია ბუაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

თამარი ოღლიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

მეგი ტალახაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ლილი კაცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სოფიო გელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	206105150

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	კაკაბეთის ქუჩა N2გ
ფაქტობრივი მისამართი	კაკაბეთის ქუჩა N 2გ
საფოსტო ინდექსი	0190
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	74school.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi74@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2 77 64 78

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების	MEMES 9 23 0000506378

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნომერი და თარიღი)	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 1-2 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხური	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქ. თბილისი, კაკაბეთის ქუჩა N2
2	საბაზო საფეხური	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქ. თბილისი, კაკაბეთის ქუჩა N2
3	საშუალო საფეხური	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქ. თბილისი, კაკაბეთის ქუჩა N2

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023 წლის 1-2 ივნისს, სსიპ ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით და საქმიან ვითარებაში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტთან ერთად.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ. 1 ივნისს ZOOM-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ხოლო 2 ივნისს ZOOM-ის საშუალებით კათედრების მიხედვით, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
-	651	*800*

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☐ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება **☐ მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 800	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	სსიპ -ქალაქ თბილისის 74 -ე საჯარო სკოლა მუშაობს ორ ცვლაში, რაც იძლევა საშუალებას, მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს 800 მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა **მეტწილად შესაბამისად** შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა,

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1		*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობ* *რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ	
ინდიკატორი N3.4.	3.4.1.1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	• სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. • სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. • საევაკუაციო გეგმა საჭიროებს განახლებას. <u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის</u>

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		აქტივობები. სკოლა უზრუნველყოფს: (შესრულების ვადა - 01.09.2023-01.05.2024) • წარმოადგინოს შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით; • აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; • განაახლოს საევაკუაციო გეგმა.
ინდიკატორი N3.4.	3.4.1.6 სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები	სკოლას დოკუმენტურად არა აქვს შემუშავებული მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 05.10.2023 წლამდე სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		მექანიზმების და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურების შემუშავებას დოკუმენტურად.
ინდიკატორი N3.5	3.5.1.5 სკოლას გააჩნია კურიკულუმი განსაზღვრული საჭირო რესურსები	სკოლა ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას - სკოლას აქვს დაარქივებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ინვენტარი, მაგრამ არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (კაბინეტი). სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 01.08 .2023 - 01.02.2024 წლებში სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი ფართის გამოყოფას და საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიისათვის.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N4.1	4.1.1.3.	მოსწავლესთან/მის კანონიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	მოსწავლესთან/მის კანონიე წარმომადგენელთან გაფორმებულ კანონმდებლობის შესაბამის გამჭვირვალე და მკაფი ხელშეკრულება.	წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილი თარიღდება 2016 წლით და არ არის განახლებული. ხელშეკრულებების ნაწილი თარიღდება 2022 წლით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნას (წარმოდგენილი ნიმუში ასახავს ყველა ძირითად ასპექტს, ინფორმაციას მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე და სხვა). ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული, ვინაიდან ყველა ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. <u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, 2023 წლის 20 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლესთან გაფორმებული ხელშეკრულების განახლებას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობი რეკომენდაცია*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.2	1.2.2.1 მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.	სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება-დანერგვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას. სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება-დანერგვის ერთიანი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სისტემურ მიდგომას და განვითარების მდგრადობას.
ინდიკატორი N.3.6	3.6.3.4 სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია	სკოლის ვებ გვერდი შექმნილია 2013 წელს და საჭიროებს განახლებას. ამ ეტაპზე სკოლა (თავისი ფინანსური რესურსით) ვერ ახერხებს ვებ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.	გვერდის განახლებას. სკოლას მიეცა რჩევა 2023-2024 სასწავლო წლისათვის განაახლოს სკოლის ვებ-გვერდი
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1	2.1.2.1 კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები	**<u>დაწყებითი საფეხური -ესთეტიკური აღზრდა</u>** პირველი კლასის კურიკულუმს დაემატოს თემატური ბლოკი ადამიანები და ხელოვნება.
ინდიკატორი N2.3.	**2.3.1.1.** მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სკოლას დაწყებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება. სკოლას მიეცა რჩევა სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდეს მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება
ინდიკატორი 2.2.	2.2.2.5 სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის	გამოწვევად რჩება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გამჭვირვალე მექანიზმის შექმნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

–

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული პოზიცია და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ა.შ.

.....

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა ,, უზრუნველყოს ყველა მოსწავლისთვის კომფორტული, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო, მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნებისა და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობისათვის“.

სკოლის საჭიროების შესწავლის შედეგად სასკოლო საზოგადოებამ მნიშვნელოვნად მიიჩნია მისიაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარებაზე აქცენტირება. სკოლის სტრატეგიული განვითარების 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით სკოლის განახლებულ მისიაში ვკითხულობთ: ,,ჩვენი სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ, უსაფრთხო და თანამშრომლობით სასწავლო გარემოს. ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების, სამოქალაქო ცნობიერებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარებას.” სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის

უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ზრუნავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და გეგმავს შესაბამის აქტივობებს. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მისიისა და ხედვის შესაბამისად შემუშავებულია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა. სკოლაში მოქმედებს წესებისა და ნორმების სისტემა, რაც ასახულია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში. შექმნილია თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მხარდამჭერი ჯგუფი.

ინდიკატორი1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას გააზრებული და ჩამოყალიბებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მექანიზმი. 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი შემუშვებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-236,27.09.2022წ.) განსაზღვრული ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და პასუხისმგებლობის გაზიარებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფს შესწავლილი აქვს სასწავლო პროცესის მონაწილეთა მოსაზრებები და შეფასებები. მათი გათვალისწინებით დაზუსტებულია სკოლის ფილოსოფია.

დაინტერესებული მხარეების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართვის საკითხი წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ნაწილს,რაც თავის მხრის, სკოლის ახალი სტრატეგიული გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში იკითხება.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შემუშავებამდე, მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის საშუალებით, სკოლას შესწავლილი და გაზიარებული აქვს საგნობრივი კათედრების მოსაზრებები. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამჟამინდელი ვერსია გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ მშობელთა კრებებსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები იკითხება როგორც სასკოლო სასწავლო, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმებში, განთავსებულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის გასაჯაროების მექანიზმებს, კერძოდ, სკოლის სოციალურ ქსელში გაზიარებას. სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია მშობელთა კრებებზე სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია .

6. საჯარო რეესტრიდან 2023 წლის ამონაწერით, სკოლის სახელწოდება, სსიპ ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სტატუსს. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული განვითარების გეგმა(2023-2030წწ.;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარებისმეთოდოლოგია;
- სკოლის საჭიროების შესწავლისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მუშა ჯგუფი ბრძანება N2-336;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის საჭიროებების შესწავლისა და სკოლის განვითარების 2023-2030 წწ. სტრატეგიული გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფი. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილია სკოლის სახელმძღვანელო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტების მიღების/ცვლილებების წესი, გაწერილია მუშა ჯგუფის შექმნის, სკოლის საჭიროებების შესწავლისა და დოკუმენტის შემუშავების მექანიზმები, ჩართულობის, გაზიარებისა და საჯაროობის პროცედურები. განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის განვითარების 2023-2030 წწ. სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას. სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიას, ხოლო ამოცანები - სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება. აღნიშნულ წლებში სკოლის სტრატეგიული მიმართულებებია: ინფრასტრუქტურის განვითარება,სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მდგრადობის ხელშეწყობა, არაფორმალური განათლების შესაძლებლობების გამოყენება მოსწავლეთა ავტონომიურობისა და გამჭოლი კომპეტენციების გასავითარებლად, სასკოლო კულტურის შენარჩუნება-განვითარება, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს ინკლუზიურ, უსაფრთხო და თანამშრომლობით სასწავლო გარემოს, ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების, სამოქალაქო ცნობიერებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარებას.

სკოლის სტრატეგიული გეგმა შეიცავს სკოლის ფილოსოფიასთან თავსებად მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასში მოცემულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო აქტივობები. სამოქმედო გეგმის შედგენისას გამოყენებული იქნება ხარისხის მართვისა და ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები და შეფასებები. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით, სასწავლო წლის დაწყებამდე, გაიმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის ფორმით და ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადა, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების განხორციელების გასაჯაროების მექანიზმებს. ანგარიში წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ. გვერდზე. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს,შესრულების ინდიკატორები გაზომვადია და ვადებიც რეალისტურადაა მითითებული.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო-გეგმის პროექტი;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის თვითშეფასების დებულება, ხარისხის მართვის დებულება, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომლებიც მოიაზრებს დაკვირვების, შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების მექანიზმებს. სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება-დანერგვის ისეთი ერთიანი დოკუმენტის შექმნას,რომელიც უზრუნველყოფს სისტემურ მიდგომასა და განვითარების მდგრადობას.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგენს სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. საერთო ანგარიშის მომზადებაში ჩართულია ყველა სტრუქტურული ერთეული და დასაქმებული პირი. მაგ., საქმისმწარმოებლის, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდაჭერის ჯგუფის, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ანგარიშის საჯაროობის მიზნით, სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს. ანგარიში ასევე წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სტრატეგიული განვითარება წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. განვითარების ხედვა დაწყებულია დაგეგმვის ეტაპიდან, დაგეგმვის ეტაპზევეა გამოკვეთილი გეგმის შესრულების შეფასების კრიტერიუმები და ორიენტირები. სასწავლო პროცესის შეფასება განხორციელდება წელიწადში ორჯერ, შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. ამგვარი მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე დაწესებულებას აქვს სანდო მტკიცებულებები პროცესების მიმდინარეობის შესახებ.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქმედო გეგმის პროექტი;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს:

- დირექცია (დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი);
- ადმინისტრაცია (მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში, დარაჯი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ ჯგუფი (ფსიქოლოგი, სპეც. მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი);
- სამეურვეო საბჭო;
- პედაგოგიური საბჭო;
- მოსწავლეთა თვითმმართველობა;
- დისციპლინური კომიტეტი;
- მრჩეველთა საბჭო.

სკოლა სარგებლობს წესდებით, სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები. სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. შინაგანაწესით, წესდებით და დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით რეგულირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები სკოლაში. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრუქტურული ერთეულის და დასაქმებულების დაკონკრეტებული გავლენის სფეროები, რეგულაციები და წესები ხელს უწყობს მიზნობრივი ამოცანების განსაზღვრას და ზრდის თანამშრომელთა საშემსრულებლო კულტურასა და პასუხისმგებლობას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ბარათი. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო აღწერილობები;
- შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება;
- თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ბარათი;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით. სკოლას შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული აქვს:

- შინაგანაწესი (სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები);
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი;

დასაქმებულთა შრომითი მომსახურების ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები ინახება თანამშრომელთა პირად საქმეებში მატერიალური სახით და ატვირთულია Eschool-ის ბაზაში. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას დასაქმებულების საჭიროებების დადგენისათვის შემუშავებული აქვს ფორმალური (წერილობითი) და არაფორმალური საშუალებები. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება პროფესიულ საჭიროებები (ტრენინგები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ.). პერსონალის საჭიროებების დროულ გამოკვეთას ხელს შეუწყობს საგნობრივი კათედრების კოორდინირებული მუშაობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და მონიტორინგის ჯგუფი.

სკოლა მუშაობს ორ ცვლაში და დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმებულზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სხვა თანამშრომლის მოწვევა.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია. სკოლას შემუშავებული აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმები.

3. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის წესი, რომლის პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა. კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება მასწავლებლის ვაკანსიის ვებ გვერდზე. თანამშრომელთა მიღება ხდება დირექტორი ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით აფასებენ თითოეულ კანდიდატს.

საკონკურსო მასალების გაცნობით (საკონკურსო სხდომის ოქმებით) დგინდება, რომ გამჭვირვალეა ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი).

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სულ დასაქმებულია 54 ადამიანი. აქედან, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნების სწავლებისათვის 42 მასწავლებელი. მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. 4 არის წამყვანი,ხოლო 38 - უფროსი მასწავლებელი. სკოლაში დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: ფსიქოლოგი, ენის და მეტყველების სპეციალისტი, 1 სპეც მასწავლებელი. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.1.2.4.დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობას და ნდობას. სკოლისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება ლიდერ მასწავლებელთა რიცხვის გაზრდას. 6 საგნობრივ კათედრებზე პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს და გამოცდილებებს. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს მასწავლებელთა წარმატებული საქმიანობის გაზიარების პოლიტიკა. ამ მიზნით სკოლაში აქტიურად მუშაობს ,,კრიტიკულ მეგობართა ჯგუფი". ისინი საკუთარ გამოცდილებებს და მიღწევებს უზიარებენ კოლეგებს. ხშირია შეხვედრები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკის კათედრების წევრებს შორის კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების ნიმუშების განხილვის მიზნით. კომპიუტერული მეცნიერებების მასწავლებელი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა აშშ -ში და საკუთარ გამოცდილებას უზიარებს სკოლის ყველა პედაგოგებს (აღნიშნულის შესახებ ისაუბრეს კათედრის წარმომადგენლებმაც).

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- EMIS ამონაწერი;
- საშტატო განრიგი;
- ბრძანებები კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- teachersjobs.ge;
- პირადი საქმეები;
- ადამიანური რესურსების მართვის დებულება;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ ☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე me

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ემსახურება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული

მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება, რომელშიც გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების ფორმები, მასწავლებლის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა პერსონალის შეფასების წესის პროექტიც, რომლის განხილვა და დამტკიცება მოხდება მიმდინარე პერიოდში, სასკოლო საზოგადოებასთან გაცნობისა და სამუშაო შეხვედრების შემდეგ.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. მასწავლებლები შეიმუშავებენ თვითგანვითარების გეგმას და ირჩევენ საჭიროებებიდან გამომდინარე ტრენინგ

მოდულებს. გარდა ამისა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო შემდეგი აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა გადამზადება.

 დირექტორის განმარტებით, ერთობლივი მუშაობა სამიზნე საკითხებზე, სამუშაო შეხვედრები და ურთიერთსწავლება სკოლის ყველა პერსონალის განვითარებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებლებთან თემატური შეხვედრების თემატიკა (მაგ., შეფასების

ინსტრუმენტები, კომპლექსური დავალებების თემატიკა, გამოცდილების გაზიარება, კათედრებს შორის ინტეგრირებული თანამშრომლობა და სხვა). სკოლაში მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას.

სკოლის სხვა პერსონალთან ნაკლებად დგინდება მათი პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, მაგრამ სამომავლოდ, სკოლა სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, გეგმავს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას თანამშრომელთა პროფესიული განვითრების მიზნით.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

- 4. სკოლის საკადრო პოლიტიკის დოკუმენტით (ადამიანური რესურსების მართვის დებულება) დარეგულირებულია

სასკოლო საზოგადოების ახალი წევრის ადაპტაციის პროცესი. მაგ., დამწყები მასწავლებლის ადაპტაციისა და სკოლაში ინტეგრაციისათვის დირექტორის ბრძანებით დაინიშნება ფასილიტატორი, რომელიც სემესტრის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობისა და შედეგების შესახებ. ახალი თანამშრომლის წარდგინება მოხდება შესაბამის კათედრაზე ან სასკოლო საზოგადოებასთან (პოზიციის შესაბამისად) და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლში. სკოლა გამოიყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სამოქმედო გეგმის პროექტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის დებულება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის მართვისთვის, მისიის გათვალისწინებით შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას. ადმინისტრირების ნაწილი მოიცავს: სკოლის ფილოსოფიას, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, საგანმანათლებლო პრინციპებს, საგნობრივი პროგრამების მეთოდიკურ ორიენტირებს, არაფორმალური განათლების, ინკლუზიური განათლების, მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკის, რესურსების, სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის საკითხებს.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში: სასკოლო კურიკულუმში, შინაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მმართველობითი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სკოლის სტრუქტურაში და დებულებებში მკაფიოდ და ნათლადაა გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, მოსწავლის დისციპლინური წარმოების წესი, ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს აძლევს გასაჩივრების უფლებას ცალკეულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის შემადგენლობით. განსაზღვრულია საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის წესი. სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლებსა და მოსწავლეებს კრებებზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის შინაგანაწესის მიხედვით შესასრულებელი რეგულაციების, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მომზადება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ბრძანებაN 2-20,პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- ბრძანებაN 2-16, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საშუალებებად გამოყენებული აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები და შეხვედრები. სკოლა აქტიურად სარგებლობს office 365 - Outlook, OneDrive, Teams, Forms-ით) და სოციალურო გვერდ Facebook-ით. მნიშვნელოვანი სასკოლო დოკუმენტების შემუშავების, განხილვისა და გაზიარების მიზნით სკოლას Teams -ის პლატფორმაზე შექმნილი აქვს თითოეული საგნობრივი კათედრის სამუშაო ჯგუფი. დამრიგებელს დებულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფმინიჭებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა. <u>სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც საჭიროებს განახლებას.</u> თუმცა, ფეისბუქგვერდის საშუალებით უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაჯაროებას და შესაბამის უკუკავშირს.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდისა და კოლეგიალური ორგანოების ქმედუნარიანობისთვის ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. იქმნება დროებითი სამუშაო ჯგუფები,რომლებშიც გაერთიანებულია სასწავლო პროცესის მონაწილე ყველა სეგმენტის წარმომადგენელი. შემუშავებულია თითოეული რგოლის დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი ფუნქციები, არჩევის წესი, ფუნქციონირება, უფლებამოსილებები და ა.შ.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;

- სკოლის საჭიროების კვლევის ანგარიში.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის, საგანგებო სიტუაციებში

რეაგირების და პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

- უზრუნველყოფილია სკოლაში შესვლა-გასვლის კონტროლი და ვიზიტორთა აღრიცხვა;
- შემუშავებული და დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის რეგულაციები;
- შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი და გაწერილია შტაბის წევრების ფუნქციები;
- სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის ტერიტორია შემოღობილია;
- სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 22 ერთეული ვიდეო კამერა (დამონტაჟებული ვიდეო კამერების პარამეტრები შეესაბამება შსს მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ პარამეტრებს და დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს);
- ვიდეო ჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდება სპეციალურად გამოყოფილი პირი - მანდატური.
- მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური და სადღეღამისო რეჟიმში მომუშავე 3 დარაჯი.
- **პირველადი დახმარების** აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების

დოკუმენტი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული ექიმის კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, შირმა, მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მობილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტები, ელექტრო და მექანიკური სამედიცინო ინვენტარი.**თუმც, სკოლაში ვერ მოხერხდა ღია კონკურსით სათანადო, კვალიფიციური სამედიცინო კადრის შერჩევა და <u>გამოცხადებულია კონკურსი სკოლის ექიმის და ექთნის პოზიციაზე.</u>**

- **ხანძარსაწინაარმდეგო უსაფრთხოების** დაცვის მიზნით, ყველა სართულზე განთავსებულია

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (მათ შორის 9 ერთეული ცეცხლმაქრი, ყველა ცეცხლმაქრზე დატანილია გადამუხტვისა და მოქმედების ვადები), სკოლას აქვს საევაკუაციო გასასვლელი. სკოლის შენობაში **სახანძრო-სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოები ჩატარებულია** სსიპ ,,აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო ,,აკრედიტაციის ცენტრის მიერ“.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით, მაგრამ წარმოადგინა მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის შესახებ დასკვნების მომზადებასთან დაკავშირებით (18.05.2023) და მიწერილობა სსიპ-საგანმანათლებლო და სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან (26.01.2023) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების (ტექნიკური შემოწმების N602 მიწერილობა) დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.
სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და საევაკუაციო გეგმა საჭიროებს განახლებას.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლა უზრუნველყოფს (შესრულების ვადა - 01.09.2023-01.05.2024) წარმოადგინოს შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და განაახლოს საევაკუაციო გეგმა.</u>

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად შესაბამისია.

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური დევნა და დისციპლინური წარმოების წესი, მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე - რეაგირების ვადები და პირობები. შენობა უზრუნველყოფილია ნათელი ოთახებით. საერთო სარგებლობის სივრცეებს შესაძლებელია მიენიჭოს გარკვეული ფუნქციური დატვირთვა. სკოლაში არის დარბაზი, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სკოლის ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი.

ინდიკატორი3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. მოეწყო შეხვედრა მანდატურის სამსახურის ფსიქო-ემოციური მართვის სამსახურის ფსიქოლოგთან და სკოლის მასწავლებლებთან. ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კლასის საათის თემები ითვალისწინებს მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვას. სკოლის ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი ეზო, დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დებულება.
ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის.
სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები.
სველი წერტილი მომარაგებულია თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერებით, ურნებით.
გაწერილია სკოლისა და ეზოს დალაგება-დასუფთავების განრიგი. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი.
სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად, ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში.
ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია.
5. სკოლას დოკუმენტად შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს და განსაზღვრავს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებსა და მათ უფლება-მოვალეობებს.
ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პრინციპები. საინფორმაციო მენეჯერის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საინფორმაციო მენეჯერი, პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე, თუმც, **სკოლას არა აქვს შემუშავებული მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.**
<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 05.10.2023 წლამდე სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმების და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურების შემუშავებას დოკუმენტურად.</u>
ინდიკატორი 3.4.1.6. მეტწილად შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სკოლა მანდატურების დახმარებით ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას. სკოლა თვითმმართველობის დახმარებით გეგმავს მოსწავლეთა შორის ძალადობის და ბულინგის მართვას.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები: ფსიქოლოგთა, საინფორმაციო მენეჯერთან, დარაჯებთან, დამლაგებლებთან;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მომზადებასთან დაკავშირებით (18.05.2023);
- მიწერილობა სსიპ-საგანმანათლებლო და სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან (26.01.2023);
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის სკოლას აქვს

შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. სკოლა არის 2 სართულიანი. საჯარო რეესტრის ამონაწერით (22/11/2022) სსიპ თბილისის N74 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ქ. თბილისში, კაკაბეთის ქუჩა N2გ. დაზუსტებული ფართობია 4145 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შენობა-ნაგებობის საერთო ფართია 2346.12 კვ.მ (საქვაბე - 9,72 კვ.მ).
ამჟამად სკოლაში სწავლობს 651 მოსწავლე.
სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, 19 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით. სკოლის ინვენტარი აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N572 (09/08/2011) ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე.
სკოლას აქვს 1 სპორტული დარბაზი ფართით 155,53კვ.მ და სკოლის ეზოში განთავსებული კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარით: კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის პატარა ზომის ბურთები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (18.05.2023).

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ნათელი საკლასო ოთახების გარდა, სკოლაში არის სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო და სხვა. მიუხედავად სკოლის მცირე ფართისა, საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის შექმნილია ყველა ძირითადი პირობა, გაწერილია კომპიუტერული ლაბორატორიით და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. ეტლით მოსარგებლე პირს შეუძლია სკოლის ერთ-ერთი შესასვლელით ისარგებლოს. პირველ სართულზე ფუნქციონირებს რესურს ოთახი, არის პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო (რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების - ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“-27-ე მუხლის მოთხოვნებს).

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.

4.შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების დიდი ნაწილი. კერძოდ, კომპიუტერები და პრინტერები განთავსებულია კომპიუტერების ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის ოთახებში.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები (რაც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების განხორციელებას). ბიბლიოთეკაში არის 2218 ერთეული მხატვრული ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მეთოდური ლიტერატურა 296 ერთეული და 15.428 ერთეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გრიფირებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერი. სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია და გატარებულია ელექტრონულ პროგრამაში Open Biblio.

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელებისთვის სკოლას **არ აქვს შესაბამისი რესურსი** - ლაბორატორია/ საკლასო ოთახი, სადაც განთავსდება ლაბორატორიის აღჭურვილობა.

დაწესებულებამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და როგორც დირექტორმა აღნიშნა, ინვენტარი დაარქივებულია და ინახება სარდაფში.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 01.08 .2023 - 01.02.2024 წლებში სკოლა უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის შექმნას.</u>

ინდიკატორი 3.5.1.5 მეტწილად შეესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.**

სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო დროს. საკლასო ოთახების ნაწილში განთავსებულია ტექნიკა, რაც სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის(office 365, Teams, Forms, OneDrive, Zoom, Gmail, Messenger, Facebook, openbiblio ელექტრონული ჟურნალი) მიზნობრივი გამოყენების უნარის განვითარებას. სკოლის საჭიროების კვლევის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით სკოლის მისიაში დაემატა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება. შემუშავდა სკოლის ციფრული განვითარების 2023-2024 სასწავლო წლის გეგმა. სკოლაში არის მოძველებული, მაგრამ მუშა მდგომარეობაში არსებული კომპიუტერები და ახალი ლეპტოპები და ინტერნეტკავშირი.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

დაწესებულება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების კომპიუტერებითა და შესაბამისი მომსახურებით ხელმისაწვდომობას. სკოლაში არის საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, შემუშავებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი და განრიგი. სკოლა სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახორციელებს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის(Teams, Forms, OneDrive, Zoom, Gmail, Messenger, Facebook) მეშვეობით, რაც დასტურდება ინფორმაციის გაგზავნის ფაქტებით. სკოლა ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ მასწავლებელსა და მოსწავლეს არ აქვს სახლში კომპიუტერული ტექნიკა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი;
- 2022-23 სასწავლო წლის ციფრული განვითარების გეგმის პროექტი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტი არეგულირებს დოკუმენტბრუნვის შემდეგ საკითხებს: დოკუმენტის რეგისტრირება, დოკუმენტის ფორმები და ტიპები, შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაცია, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების რეგისტრაცია, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებების და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, საარქივო დოკუმენტების გაცემა და ა.შ.

აღნიშნულ საქმიანობას უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორი 3.6.2.1.დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა ასევე იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. კერძოდ, e-flow,Office365, eSchool. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის ასახვა eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე კი - ინფორმაციებისა და დოკუმენტი მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, სკოლას სრულყოფილად ასახავს ინფორმაციებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (თანამშრომელთა მონაცემები, მასწავლებელთა სტატუსები, მოსწავლეთა მონაცემები და ა.შ).

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი საქმისწარმოების გამართულად მუშაობისათვის, რაც ხელს შეუწყობს საქმისმწარმოებელს უზრუნველყოს მარეგულირებელ უწყებებთან დროული კომუნიკაცია.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- სკოლის ელექტრონული ფოსტა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომელშიც გაწერილია მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა, პრინციპები და სხვა ძირითადი საკითხები. გარდა აღნიშნულისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის გამოყენებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება: საინფორმაციო შეხვედრები (როგორც პირისპირ რეჟიმში, ასევე ონლაინ პლატფორმაზე), ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო ზარი, სატელეფონო შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა და სოციალურ ქსელი.

სკოლის ვებ გვერდი - http://www.74school.ge შექმნილია დიდი ხნის წინ და საჭიროებს განახლებას.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირება ხორციელდება კონკრეტული პირების მიერ. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების 2023-24 წლის გეგმის პროექტი. მომავალი სასწავლო წლის პირველ ნახევარში სკოლის სამოქმედო გეგმაში ამ მიმართულებით იგეგმება ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად ძირითადად გამოყენებულია Forms-ის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია. სკოლა გეგმავს ელექტრონული რეიტინგული გამოკითხვების, მოსაზრებების ან სხვა აქტივობების სტატისტიკის ანალიზის პრაქტიკის დანერგვას.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი http://www.74school.ge, რომელზეც ქართულ ენაზეა განთავსებული ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ვებ გვერდი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მაგრამ სკოლის ვებ გვერდი შექმნილია 2013 წელს და საჭიროებს განახლებას. ამ ეტაპზე სკოლა თავის ფინანსური რესურსით ვერ ახერხებს ვებ-გვერდის განახლებას. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, პროფესიული კოლეჯის "სპექტრის" დახმარებით, ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება სკოლის ვებ-გვერდის ფუნქციური განახლება.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულების მოქმედი ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის ისტორია, სტრუქტურა, მისია, სასკოლო პროექტი, ფინანსური ანგარიში, სასწავლო გეგმა, სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული გეგმა, შინაგანაწესი, გალერეა და საკონტაქტო ინფორმაცია, მაგრამ არ შეიცავს ინფორმაციას სკოლაში ჩარიცხვის პროცედურების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ, რაც როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, სასწავლო წლის დასრულებისთანავე საჯარო გახდება და განთავსდება სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებ გვერდი http://www.74school.ge
- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის განმარტებით, სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით. ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად.

ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ისე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. ბიუჯეტის შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. თითოეული სტრუქტურა, სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას დირექციას საჭირო შესყიდვის შესახებ.

3.7.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა-წესი. ყოველი წლის ნოემბერში სტრუქტურული ერთეულები წერილობით წარმოადგენენ საჭირო რესურსების მოთხოვნას. სკოლის დირექცია და სტრუქტურული ერთეულები ბუღალტერთან ერთად აანალიზებენ ბიუჯეტს და მომზადებული ბიუჯეტის გეგმის პროექტს განსახილველად წარუდგენენ სამეურვეო საბჭოს წევრებს. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი ;
- სსიპ თბილისის 74-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია maiko

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციები თავისი მკაფიო, ნათელი ფორმულირებებით ითვალისწინებს ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, სკოლის მართვაში ჩართულობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, გასაჩივრების უფლების გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებების, საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის რწმენის თავისუფლების უპირატესობას.

განსაზღვრავს მათი რეგულირების წესებსა და პირობებს, როგორც მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის წესებსა და პირობებს, ისე კონფლიქტის რეგულირების, მოსწავლის უკუკავშირის და სხვა მიმდინარე პროცესების რეგულაციებს. სკოლის მისია და ხედვა პასუხობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის ხედვაშიც გათვალისწინებული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მასწავლებლების პროფესიული განვითარების პირობები.

შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება საშუალებაა უფლებების ცოდნისა და დაცვის. შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ინდიკატორი 4.1.1.1.დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მოსწავლისა და მშობლის მონაწილეობით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე, ღია კარის შეხვედრებზე სკოლა უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და მოვალეობების, შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისებისა და დისციპლინური დევნის რეგულაციების გაცნობას, საკლასო წესების შემუშავებას. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაშია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. მოსწავლის უფლების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციისა და აღნიშნული სტრუქტურების მიერ ხდება მყისიერი რეაგირება. საჯაროდ განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია პირებისა და ორგანოების, რომლებიც უზრუნველყოფენ რეაგირებას უფლების დარღვევის შემთხვევაში. სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს არ ყოფილა დისციპლინური წარმოების ან გასაჩივრების შემთხვევები.

ინდიკატორი 4.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა. ჩარიცხვის ეტაპზე ხდება მშობელთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმება. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადად მითითებულია სწავლის დასრულებამდე პერიოდი. სკოლას აქვს მოსწავლესთან <u>გაფორმებული ხელშეკრულების რამდენიმე ვარიანტი -</u> ხელშეკრულებების ნაწილი თარიღდება 2016 წლით (და არ არის განახლებული). ხელშეკრულებების ნაწილი თარიღდება 2022 წლით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს (ინფორმაციას მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე და სხვა).

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, 2023 წლის 20 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლესთან გაფორმებული ხელშეკრულების განახლებას.</u>

ინდიკატორი 4.1.1.3. მეტწილად შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- ხელშეკრულებები სკოლასა და მშობელს შორის;

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი (სკოლის საინფორმაციო მენეჯერი), რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და ა.შ) სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge); დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს.

ინდიკატორი 4.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის ვადების დაცულია. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას, მათ შორის, ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელს. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია გვერდის ადმინისტრატორი და არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გარდა ამისა, დამრიგებლების დახმარებით მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სკოლის სერვისების შესახებ.

ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები მშობელთან:
- დამრიგებლის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებულია ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის შემდეგი პოლიტიკა: მშობლის კონსულტირება, მობილობით გადმოსულ მოსწავლესთან გასაუბრება, კლასში მოსწავლის წარდგენის რიტუალი. კლასის დამრიგებელი ვალდებულია სწავლის დაწყებისას გააცნოს მოსწავლეს სკოლის ინფრასტრუქტურა, სასკოლო საზოგადოება, შინაგანაწესით განსაზღვრული წესები. სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია თემები მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე.

მოსწავლის გაუცხოების ცალკეული შემთხვევები, რომელთა მართვა აღემატება დამრიგებლის შესაძლებლობებს, განიხილება სკოლის სოციალური მუშაკის ჩართულობით.

ინდიკატორი 4.2.1.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა აქტიურადაა ჩართული მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. მოსწავლე მხარდაჭერას იღებს მასწავლებლისგან განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, რისთვისაც სკოლის რეგულაციებში განსაზღვრულია მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით).

მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან შემოსული მომართვის შემთხვევაში გათვალისწინებულია დახმარების შემდეგი ფორმები: დამატებითი მეცადინეობა, კონსულტაცია (ვადებისა და ფორმის მითითებით) და სხვა. განსაზღვრულია პირველკლასელთა ფიზიკურ გარემოში ადაპტაციის პოლიტიკაც - ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან შიდა რეგულაციების, არსებული რესურსებით სარგებლობის წესების, ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით.

ინდიკატორი 4.2.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებელი სისტემატურად უწევენ მონიტორინგს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. ამ მხრივ ყურადღება ექცევა, ერთი მხრივ, ხმადაკარგულ მოსწავლეებს, რომლებიც დამატებით ჩარევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროებენ, რათა შეძლონ სტანდარტის შესაბამისი ცოდნისა და უნარების განვითარება და, მეორე მხრივ, მოსწავლეებს, რომლებსაც სთავაზობენ სტანდარტ ზევით სასწავლო მასალას (მაგ., ეკო მეგობრობის კლუბი და სხვ.).

ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. დაწესებულების მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში. მოსწავლეები სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ერთ-ერთ გზად თვითმმართველობას იყენებენ.

ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს არაფორმალური განათლების მხარდამჭერი პროგრამები. სასწავლო წლის დასაწყისიდან მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, კულტურული მრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულებისა და მიმღებლობის მიზნით ხორციელდება პროექტი ,, განათლება დემოკრატიისათვის“. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების შესახებ მსჯელობა და ანალიზი.

სკოლაში ფუნქციონირებს ,,რობოტიკისა და ელექტრონიკის კლუბი“, სამოქალაქო განათლების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბი, ,,ეკო კლუბი“, ფეხბურთის წრე.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, კონფერენციები.

აქტივობების ამსახველი მასალები განთავსებულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში და გამოკრულია სასკოლო სივრცეში.

ინდიკატორი 4.2.1.6.დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლამ საჭიროებების შესწავლის მიზნით ჩაატარა მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა. ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, გამოკვეთა პრიორიტეტული საჭიროებები, რომლებიც ასახა სასკოლო სასწავლო გეგმაში. ამასთან, სკოლაში მიმდინარეობს ახალი სასკოლო კურიკულუმის პროექტზე მუშაობა და იგეგმება საკვირაო სკოლის განახლება და მოსწავლეთა დაკვეთასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.2.1.6.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 2-328, 23.09.22 მოსწავლეთა თვითმმართველობის საარჩევნო კომისიის შესახებ;
- თვითმმართველობის ოქმი N1;
- სკოლის საჭიროების კვლევის ანგარიში;
- კლუბების პორტფოლიოები.

1.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო და საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია ცალკეული პროფესიების გაცნობა და ამ მიზნით სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევა. ხშირია ექსკურსიები საწარმოებში , XI- XII კლასის მოსწავლეების შეხვედრები პროფესიული კოლეჯებისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. დირექტორის განმარტებით, სკოლის პოლიტიკაა შესაბამისი საფეხურის დასრულებამდე ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები და მშობლები კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამ მიზნით, სკოლა თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან და გაფორმებული აქვს მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან - ,,სპექტრი“. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან მიზნობრივ ინფორმაციებს და გეგმავენ შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ გაწეული მომსახურების შეფასების მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა შეხვედრები მოსწავლეთა მშობლებთან, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სკოლა გეგმავს კვლევის ჩატარებას საბაზო და საშუალო საფეხურზე თემაზე, თუ რამდენად დაეხმარა ან ეხმარება მოსწავლეს სკოლაში არსებული სერვისები თავისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- მემორანდუმები.

1.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები. სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი და სპეც მასწავლელი. სკოლას აქვს რესურს ოთახი და ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე. შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმები და შექმნილია პორტფოლიოები.

ინდიკატორი 4.2.3.1დაკმაყოფილებულია.

2. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. ისგ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. ფსიქოლოგისა და მეტყველების პედაგოგის ჩართულობა დგინდება მათი სამოქმედო გეგმებითა და შრომითი ხელშეკრულებებით.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ბრძანება სსგ ჯგუფის შესახებ;
- შრომითი ხელშეკრულებები ფსიქოლოგთან და მეტყველების პედაგოგთან;
- ისგ გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერება.

1.2.4. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. იდენტიფიცირებულ

მოსწავლეებთან ინდივიდუალური გეგმით მუშაობს ისგ ჯგუფი. სპეცმასწავლებელი მოსწავლეს უწევს დამატებით მომსახურებას. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც წელიწადში ორჯერ წარმოადგენს ანგარიშს და შესაბამის რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია.

2.სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი სკოლის ინკლუზიური პოლიტიკა. სსსმ მოსწავლის წინსვლა და განვითარება დიდად არის დამოკიდებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანადგომაზე. თანამშრომელთა პორტფოლიოების, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების და ფსიქოლოგის სამუშაო მასალების გაცნობა ადასტურებს სკოლის მზაობას ამ მიმართულებით.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები.

1.2.5. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის ფასიანი (ფეხბურთის წრე) და უფასო (,,რობოტიკისა და ელექტრონიკის კლუბი“, სამოქალაქო განათლების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბი, ,,ეკო კლუბი“) მომსახურება ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ინდიკატორი 4.2.4.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დამატებითი მომსახურება და არაფორმალური განათლების წრეები, კლუბები წარმოადგენს სკოლის სასწავლო გეგმის ნაწილს, რომელიც შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ფასიანი მომსახურების შემთხვევაში(ფეხბურთის წრე) გაფორმებულია ხელშეკრულებები მშობელს, წრის ხელმძღვანელსა და სკოლის დირექტორს შორის. ხელშეკრულებაში გარკვევით ჩანს, რომ შეთავაზებული სერვისები არის ნებაყოფლობითი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კლუბები და წრეები, რომლებიც ფუნქციონირებენ მოხალისეობის პრინციპით, მოსწავლეები ერთიანდებიან თავიანთი ინტერესისა და სურვილის შესაბამისად.

სტანდარტი 2 -დაწყებითი საფეხური	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

ინდიკატორი 4.2.4.2.დაკმაყოფილებულია.

3. დამატებითი მომსახურების წრეები ფუნქციონირებენ განრიგის შესაბამისად. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მათი დასწრების კონტროლს. განსაზღვრულია წრეების ხელმძღვანელთა ვინაობა, წრის მიზნები, კვირეული დატვირთვა და სხვა.

ინდიკატორი 4.2.4.3.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფეხბურთის წრის კალენდარული გეგმა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- წრისა და კლუბების გეგმები;

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება*ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - <u>დაწყებითი საფეხური</u>

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ-კონცეპტუალური ნაწილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, დაკვეთის გათვალისწინებით განსაზღვრავს: სკოლის ფილოსოფიას, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესი მოიაზრებს საგნობრივ კათედრებზე მასწავალებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენას, კოლეგებთან ერთად განხილვას, უკუკავშირს, გასული წლების გამოცდილების გაზიარებასა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას,ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვას, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლას აქვს საერთო, გაზიარებული ღრუბლოვანი სივრცე, სადაც ხდება იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოყრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში სასკოლო თემი და მისი საზოგადოებრივი ცხოვრება მთავარი ორიენტირია. საგნის მასწავლებლების, დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის ანგარიშები, რეფლექსიები, მიგნებები, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა, საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმი, არაფორმალური განათლების პრევენციული ხედვა და სასწავლო პროცესის ანალიზი სკოლისთვის სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შემუშავების საშუალებაა. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

სკოლის მიერ სასწავლო კურიკულუმზე მუშაობის პროცესი წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტზე გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა სკოლის კურიკულუმის შექმნაში. მასწავლებლების მიერ წინა სასწავლო წლის შედეგების გაანალიზებისას დაფიქსირებული გამოწვევები, მშობელთა კრებებზე გამოკვეთილი საჭიროებები განხილული და გათვალისწინებულია პედაგოგიური საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი წარედგინება შესათანხმებლად სკოლის სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინფორმაციის გაზიარებისათვის სკოლა იყენებს პირისპირ შეხვედრებსა და ელექტრონულ საშუალებებს(Microsoft 365, Mail, Teams, Forms, OneDrive; Zoom, Gmail , Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი).

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბრძანება N2-15, მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცება;
- მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის გეგმა; ხარისხის განვითარებისა და პროფ. მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი N1;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- პედსაბჭოს ოქმი N4
- მშობელთა კრების ოქმები.

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საბუნებისმეტყველო

1. შემუშავებული საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმი/ები ორიენტირებულია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე. შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

I-IV კლასების ბუნების საგნის კურიკულუმში დაფარულია მხოლოდ ერთი თემის ფარგლებში ყველა ველი. V-VI კლასების ბუნების საგნის კურიკულუმში ველი - „სამიზნე ცნება და ქვეცნებები“ არაა შევსებული. მასწავლებელთა განმარტებით, ეს გამოიწვია დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესმა და არ აქვთ შერჩეული სასურველი სახელმძღვანელო. ამიტომაც, ბუნების საგნის კურიკულუმის ყველა კომპონენტი დაიფარება სახელმძღვანელოს შერჩევის შემდეგ, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავებისას.

სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დაფარვის მიზნით, I-IV კლასების კომპლექსური დავალებები მიმართულია პოსტერების, ბუკლეტების, ნახატების შექმნაზე.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

1. დაწყებითი საფეხურის მიერ (ქართული) წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს (მოთხრობა, იგავი, წერილი, კომიქსი, რეკლამა, პოსტერი), რომელთა საშუალებითაც ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხთან მიმართებით. დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასი) სრულყოფილად არის წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო. პირველ და მეორე კლასში ელოდებიან ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ამიტომ კურიკულუმი წარმოდგენილია ერთი თემის ფარგლებში. კათედრას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება. სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიებს. სსსმ მოსწავლეებისათვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით, შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.მოსწავლის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია 7- წლიანი (2023-2030) სტრატეგიული განვითარების გეგმის სკოლის მისიაში. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სწორად დასმული აქცენტებით ერთწლიანი (2023-2024) ციფრული განვითარების გეგმა. სკოლის თვითშეფასების გეგმაში ვკითხულობთ -"მოქმედ საგნობრივ პროგრამებში გათვალისწინებულია..... ახალი სკოლის მოდელით მიდგომები და მინიმუმ ერთი კომპლექსური სამუშაოს პირობა და შინაარსი". ტექნოლოგიებთან მიმართებაში წარმოდგენილია დოკუმენტაცია: სასწავლო გეგმები და კომპლექსური დავალებები, რომლებშიც ნათლად ჩანს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგება, თუმცა გამოკვეთილია გარკვეული შეუსაბამობები (მაგალითად, სწორად არ არის განსაზღვრული ასაკობრივი თავისებურებები (მაგალითად : 1 კლასში მოსწავლეს ევალება საქაღალდის შექმნა, ასევე სასწავლო რესურსების ჩამონათვალში მითითებულია gmail.com, youtube.com, https://ka.wikipedia.org -რაც ასევე არასწორია, თუმცა ინტერვიუს დროს საგნის მასწავლებელმა გამოავლინა ამ საკითხების სწორი ხედვა, მასწავლებელთან ინტერვიუს დროს ნათლად აისახა მისი სწრაფვა უახლესი ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციების გათვალისწინება მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით (მაგალითად: ონლაინ პლატფორმა canva.com-ს გამოყენება). სკოლაში ფუნქციონირებს მისი შექმნილი რობოტიქსის კლუბი.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

1. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემა, საკითხები, ქვესაკითხები. ზოგიერთ თემაზე კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, (ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც). კომპლექსური დავალებები იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. დაწყებით საფეხურზე აქტიურად არის გამოყენებული თამაშები, ქეისები და ისტ-ი. სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით პედაგოგები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო

1.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული საგნობრივი, კერძოდ, მე და საზოგადოების მე-3 და მე-4 კლასის და ჩვენი საქართველოს მე-5; მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებიც ასახავს მოსწავლის ცოდნის კონსტუირების პროცესს. მესამე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია მე და საზოგადოების სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავადებულო თემა და ნათლად იკვეთება, თუ რომელი საკითხებითა და რესურსებით ახერხებს მასწავლებელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებას. ამავდროულად, კურიკულუმი ასახავს სწავლა-სწავლების პროცესში იმ წინარე გამოცდილებას, რომელიც დაკავშირებულია კომპლექსური დავალებების დანერგვასთან (მაგ: „ჩემი ოჯახი"; „გარემო, რომელშიც ვცხოვრობ" გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად წარმოდგენილია შუალედური მიზნები- კომპლექსური დავალებები, რომლებიც მასწავლებელმა დაამუშავა და სასწავლო პროცესში დანერგა).
მე და საზოგადოების მასწავლებელთან ინტერვიუს დროს მკაფიოდ გამოიკვეთა კურიკულუმში მოცემული კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, მასწავლებელმა ისაუბრა იმ ეტაპებზე, რომლებიც კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში გაიარა. გამოიკვეთა, რომ კათედრაზე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. მე-4 კლასისა და მე- 5 კლასის კონკრეტული მოსწავლეებისათვის შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მოიცავს ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს. მოსწავლეზე ორიენტირებული სამუშაო პროცესი იკვეთება მე-4 კლასში, საგანი მე და საზოგადოება, მე-5, მე-6 კლასებში- ჩვენი საქართველო, სადაც კურიკულუმები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ის მხარეები, რომლებზეც მასწავლებლები კურიკულუმის დახვეწის პროცესში იმუშავებენ მომავალ სასწავლო წელს (*მაგ: საგანი- ჩვენი საქართველოს მე-5 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი არ იყო სავალდებულო თემა- „ სახელმწიფო- ჩვენი საქართველო" და არ მუშავდებოდა სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნება- „მრავალფეროვნება" და სხვა).*

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

1. ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1- 6 კლასის კურიკულუმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზების, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უცხოური კათედრის წევრების მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის ინგლისური (I-VI) და რუსული ენების (V-VI) კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე, შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში/საფეხურის დონეზე.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

1.მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და, თავისთავად, ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო

2.დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში თემის ფარგლებში შევსებული ველებია: საკითხი/საკითხთა კლასტერი, ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნება და ქვეცნებები, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის ხელს შეუწყობს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) განვითარებას. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები გააზრებულია გრძელვადინ მიზნებად.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.დაწყებითი საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია, ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ემპათია, კომუნიკაცია) განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლის სწავლას, მეტაკოგნიტურ პროცესებს. მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ხსნის, რა გამოუვიდა კარგად, სად გაუჭირდა, მსჯელობს, თავიდან რომ შეესრულებინა დავალება ,რას შეცვლიდა და რატომ. ასევე, შესრულებული აქტივობები რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს უკავშირდება.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

2. კომპლექსურ დავალებებში კონცეპტუალურად სწორად არის დასმული საკვანძო კითხვები, მკვიდრი წარმოდგენების შექმნის სტრატეგია და მეთოდოლოგია საგნის სტანდარტისა და შესასწავლი საკითხების შესაბამისია და იკვეთება მოკლევადიანი და შუალედური მიზნების კავშირი. ასევე, გათვალისწინებულია ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნის კონსტრუირების ეტაპები. არის უპირობო პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის მზაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების განსავითარებლად, თუმცა სასწავლო გეგმების შესწავლისას დადგინდა ზოგიერთ კომპლექსურ დავალებაში შედეგების ინდიკატორების ერთგვაროვნება, კონკრეტული კომპლექსური დავალების მიმართ შეუსაბამობა , მაგალითად,საგნის სტანდარტის კომპ.ტექ.დაწყ.2. კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები და მისი ნაწილების დანიშნულება შედეგების ინდიკატორად არის წარმოდგენილი ვიზუალურ პროგრამირების შედეგის ინდიკატორი -* პოულობს, არჩევს და იყენებს გზებსა და მეთოდებს (მათ შორის ტექნოლოგიებს) მოდელირებისათვის საჭირო მონაცემებს შესაბამისი ალგორითმებისა და კომპიუტერული კოდის შესამუშავებლად ვიზუალური პროგრამირების გარემოში (მტკიცებულება - 1 კლასის სასწავლო გეგმა. მასწავლებელთან საუბრისას გამოიკვეთა შესასწავლი თემების სიღრმისეული ცოდნა.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

2.მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. ფუნქციურ-კომპონენტური უნარებისა და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მე და საზოგადოება; ჩვენი საქართველო

2.საზოგადოებრივი მეცნიერებების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რაც მკაფიოდ წარმოაჩენს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დაწყებითი საფეხურის ზემოთ აღნიშნული საგნების ფარგლებში.

კურიკულუმები ასახავს გზას, თუ როგორ მიდიან გრძელვადიან მიზნებამდე, გლობალურ ფუნქციური უნარების განსავითარებლად, კერძოდ, ორივე საგნის ფარგლებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მათ შორის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები ეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს ის იდეა, რომელიც სასწავლო მასალას აქვს. ინტერვიუს დროს მასწავლებლები თავისუფლად საუბრობდნენ იმ გზებზე და სტრატეგიებზე, რომელთა დახმარებითაც შეძლეს გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა მოსწავლეებთან ერთად.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

2.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურეობრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, აგრეთვე კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვეტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

2. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს, ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის, უნარების ასათვისებლად. ააქტიურებენ და ავითარებენ მოსწავლეებში ისეთ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს, როგორებიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა; წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველ დოკუმენტებში აღწერილია გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

მოსწავლეების გლობალურ-ფუნქციური უნარების გასავითარებლად მასწავლებლები ინტენსიურად იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებსა და რესურსებს, გაკვეთილებზე ნერგავენ ისტის გამოყენებას.
მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ეფექტურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათი ანალიზისა და დასკვნების შედეგებს ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისათვის და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.
ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

2. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთი კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობა დარღვეულია და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული.

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას საგნის სწავლება დაგეგმილი აქვს კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე.
ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

ბუნებისმეტყველება

3. დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს საჭიროებების კვლევის გამოცდილება. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მასწავლებლები მშობლებთან აქტიური კომუნიკაციით შეაჯერებენ მოსწავლეთა ინტერესებს,

შესაძლებლობებსა და მზაობას, რის საფუძველზეც შეიტანენ ცვლილებებს საგნობრივ კურიკულუმებში. კომპლექსური დავალებები და მრავალფეროვანი პროდუქტი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს თავისი აზრი, დამოკიდებულება და ცოდნა. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება მოხდება ესგ-ით მითითებულ ვადებში.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

3.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. ხშირად მიმართავენ წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობას. მასწავლებლებმა სამუშაო პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილებაც გააზიარეს. კერძოდ, როგორ შეუწყო ხელი დიფერენცირებულმა მიდგომამ ხელი მოსწავლის თვითშეფასების ამაღლებას, სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა, შექმნილია რესურს -ოთახი დამატებითი აქტივობებისათვის, სსსმ მოსწავლე თავს არ გრძნობს განსხვავებულად, მონაწილეობს სწავლა-სწავლების პროცესში, არაფორმალურ აქტივობებში, სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებელთან ერთად გეგმავს სასწავლო პროცესს, აქტივობებს სსსმ მოსწავლეებისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ (ინდივიდუალური სასწავლო გეგმები) სსსმ პირებისათვის კომპიუტერულ ტექნოლოგიებში.საგნის მასწავლებელთან ინტერვიუს დროს თვალსაჩინო იყო დიფერენციული მიდგომა შედეგების ინდიკატორების კონტექსტში, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ეს არ იყო სრულად ასახული (მაგალითად, ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გაიხსენა მე-6 კლასის კომპლექსური დავალება კომპიუტერის კომპონენტების ადგილობრივი ბაზრის კვლევა და შედეგების გაანალიზების შემდეგ გააკეთა დასკვნა, რომ გამოიკვეთა ძლიერი ჯგუფი, რომელმაც დავალება შეასრულა კარგად და ზედმიწევნით. ამავე დროს ზოგიერთმა მოსწავლემ ბოლომდე ვერ შეასრულა დავალება. მასწავლებელს შეეძლო გაეკეთებინა სირთულის მიხედვით დავალების ეტაპების განაწილება ჯგუფებს შორის, ჯგუფების შემადგენლობის დაბალანსება და მოსწავლის მხრიდან არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა).

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. მასწავლებლები მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესასწავლად იყენებენ შემდეგ ინსტრუმენტებს: დაკვირვება, დიაგნოსტიკური წერები, სპეცმასწავლებლის, მშობლის კონსულტაცია, დამრიგებლის დახასიათება, საჭიროების შემთხვევაში სოციალური მუშაკის ჩართულობა. სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებელი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, სოცმუშაკი. აქვს სპეციალური სივრცე სსსმ მოსწავლეების დამატებითი აქტივობებისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. სკოლაში განხორციელებული მოსწავლეთა საჭიროების კვლევის ანალიზის საფუძველზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მათთვის მნიშვნელოვან მიგნებებზე, რაც დაეხმარათ კურიკულუმების შემუშავების პროცესში, რათა გაეთვალისწინებინათ მოსწავლეთა ინტერესები. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა მათი როლი და აქტიური თანამშრომლობა ინკლუზიური განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით, წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები მე და საზოგადოებასა და ჩვენ საქართველოში ნათლად ასახავს, თუ როგორ ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

3. სსიპ -თბილისის N 74 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

3. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება მოსწავლეების ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ეს დასტურდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, რომლებიც შექმნილია დაწყებითი საფეხურის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მოდიფიცირება გაუკეთონ აქტივობებსა და დავალებებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში (დამტკიცებულია 08.09.2022 წ) მუხლი 7. საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტირები (7.1.1;71.2;7.1.3;) მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ საკლასო გარემო აღჭურვილია ტექნიკურად (საკლასო ოთახებში აქვთ ტელევიზორები), მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი მეთოდები (მაგალითად, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას-ფილმები, ოპერა, მიუზიკლი და სხვა) მასწავლებლებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები, დასკვნა ეყრდნობა მათ მიერ გაზიარებულ გამოცდილებას, აღწერილ სასწავლო პროცესს და სასწავლო გეგმას. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ბუნებისმეტყველება

4. სკოლას აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა. **დაწყებითი საფეხურზე** ზეპირი და წერილობით მიწოდებული ინფორმაცია, კომენტარი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, შედეგების გაუმჯობესებასა და მათ მრავალმხრივ განვითარებას.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

4. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, ძირითადად, იყენებდნენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს (წაკითხულის გააზრების, პრეზენტაციის, ჩართულობის და სხვ). განმავითარებელი შეფასებისას მიმართავენ ზეპირ კომენტარს, იშვიათად - წერილობითს. როგორც აღნიშნეს, სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ შექმნან კურიკულუმში წარმოდგენილი თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

კომპიუტერული ტექნოლოგიები

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში კარგად არის წარმოჩენილი მეთოდიკური ორიენტირები. საგნის მასწავლებელმა ინტერვიუს დროს მოიყვანა განმავითარებელი შეფასების მაგალითები. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო გეგმებში, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში შედეგების ინდიკატორები ერთი და იგივეა და არ არის მორგებული კონკრეტული დავალებაზე, ინტერვიუს დროს ნათლად გამოჩნდა კათედრის წევრების თანამშრომლობის, გუნდურობისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მზაობა, სურვილი და გამოცდილება , ასევე სკოლას შექმნილი და დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკის დოკუმენტი.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

4. მათემატიკის კათედრას წარმოდგენილ კურუკულუმეში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების პირობები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ. განმავითარებელი შეფასება მოხერხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალის გაცნობისას იკვეთება, რომ კათედრა ძირითადად იყენებს პედაგოგთა მიერ შექმნილ რუბრიკებს. შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. აქტიურად გამოიყენება თვითშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები.

როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილი თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება ხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთშეფასების გზით.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებებ

4. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრები ეყრდნობიან სკოლის მიერ შემუშავებულ მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკას. გასაუბრებისას და ავტორიზაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იყენებენ ზოგადი შეფასების რუბრიკებს, სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელ კომენტარებს (ვერბალური ფორმით), ასევე ინტერვიუს დროს ისაუბრეს წერილობით შემაჯამებელ განმავითარებელ შეფასებებზე (SOLO-ტაქსონომია), რომელიც განხორციელებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოამზადეს. შეფასების კრიტერიუმებად გამოყენებული იყო კომპლექსური დავალების პირობის ფარგლებში წარმოდგენილი კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეს შექმნილ პროდუქტში უნდა წარმოეჩინა.

გასაუბრებისას კათედრის წევრებმა მკაფიოდ ისაუბრეს შეფასების რომელი ინსტრუმენტების გამოყენებას აპირებენ 2023-2024 სასწავლო წლისათვის, სწორედ ამ მიზნით საგან ჩვენ საქართველოში პილოტირება განახორციელეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკისა, რაც ავტორიზაციის მხარდამჭერ პროცესში სამუშაო შეხვედრებზე მიღებულ რეკომენდაციებს ეფუძნებოდა.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კურიკულუმებში გაწერილი თემებსა და დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე დართული განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები მრავალმხრივი და ვალიდურია. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, სპორტის გაკვეთილისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების პროცესისაკენ.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი (მე-6 კლასი და მე-5 კლასის მეორე სემესტრი) და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (I-VI კლ). შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მიღწევების შეფასებას. უცხოური ენების კათედრას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა, წარმოდგენილი აქვს რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ინგლისური და რუსული ენებისთვის.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა

4.მტკიცებულებების სახით კათედრას მცირედ (მხოლოდ მეხუთე კლასის შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა, მეხუთე კლასის კომპლექსური დავალების ბარათი) აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები. მუსიკის მეხუთე კლასის შემაჯამებელი დავალების რუბრიკის, კომპლექსური დავალებაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მათ ქვეცნებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში (თავი 2. მოსწავლეთა შეფასების სასკოლო პოლიტიკა) და დოკუმენტში-მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა დანართი 4, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, სადაც იკვეთება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (მაგ. დიაგნოსტიკური შეფასება,დაკვირვება საგაკვეთილო პროცესში, შეფასების ტიპი-ზეპირი განმავითარებელი. კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები წელიწადში ორი, კომპლექსური ხასიათის შემაჯამებელი დავალებები და სხვ.). ასევე პედაგოგიური საბჭოს ოქმში (დამტკიცებულია 07.09.2022) აღნიშნულია, რომ სკოლა ახდენს თვითრეფლექსიასა და მოსწავლეთა საჭიროებების დიაგნოსტირებას და სამოქმედო გეგმას. მტკიცებულებებში წარმოდგენილია სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი (იხ. სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი),რომელშიც აღნიშნულია -„მოსწავლეთა შეფასების მიზნით მასწავლებლების 50% ზე მეტი იშვიათად ქმნის და იყენებს შესაბამის ინსტრუმენტებს“ (ციტირება). განსახორციელებელ ინტერვენციებში სკოლა აღნიშნავს -„მასწავლებლებმა ახალი სკოლის მოდელის პრინციპების დანერგვის ეგიდით აქტიურად უნდა გამოიყენონ განმავითარებელი შეფასებები მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების შეფასების პროცესში“. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით და მომავალ წელს გეგმავენ თემებთან მიმართებით კონკრეტული რუბრიკების შექმნას. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა

5. კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ის, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი, პრაქტიკული გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

5. არ არის წარმოდგენილი მასალები შემაჯამებელი, კომპლექსური დავალების ანალიზი, თვითრეფლექსიების შესახებ, მაგრამ ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ის, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა

5 .მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა კათედრაზე არსებული გამოცდილება, კერძოდ, მასწავლებლის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (საგნის მასწავლებლების, კათედრის ანგარიშები). სკოლაში არის პრაქტიკა დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ერთობლივად განხილვისა, რომლის დროსაც ხდება მიღწევების გაზიარება და პრობლემების გამოკვეთა (მაგ. მესამე კლასი, კომპლექსური დავალება“ ტანგრამი“).

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. კათედრის წევრებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს, თუ რა გამოცდილება გაითვალისწინეს კურიკულუმის შექმნისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გამოკვეთეს უკვე დანერგილი პრაქტიკა, კომპლექსური დავალებების მიმართულებით. კურიკულუმში ასახეს თავინთი გამოცდილება. მნიშვნელოვნად თვლიან ტექნოლოგიების გამოყენებას. ამ ეტაპზე კომპლექსური დავალებები კონკრეტულად კათედრის წევრების მიერ არ არის შემუშავებული, თუმცა აქტიურად საუბრობენ იმ სავარაუდო ცვლილებებზე, რომელიც განხორციელებული იქნება სწავლა-სწავლების პროცესში გამოწვევების პარალელურად.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

5.კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილ კომპლექსური დავალებებთან დართული განმავითარებელი შეფასებები რუბრიკები მრავალმხრივი და ვალიდურია. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები

5. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. უცხოური ენების კათედრის სხდომის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოწმობს, რომ ინგლისური და რუსული ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, ისევე,როგორც უცხოური ენების კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს. გაკვეთილების მიმდინარეობის სხვადასხვა ფაზაში აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

5. დაწყებით საფეხურზე მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზში სკოლა (გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე) წარმოადგენს ინტერვენციების გზებს. . ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ , რომ კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-30 წწ სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის სასწავლო გეგმა;
- 2023-24 წწ. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი,(საფეხურების მიხედვით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საბუნებისმეტყველო კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიში;
- I-VI კლასის საბუნებისმეტყველო საგნის, მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს კურიკულუმი/ები;
- მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა; ზოგადი შეფასების რუბრიკები
- ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი N1
- გაკვეთილის გეგმა-რეფლექსიები;
- 74-ე სკოლის 2023-2024 ციფრული განვითარების გეგმა;
- საგნის სასწავლო გეგმები ;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- თვითშეფასების ფორმა - ნაწილი III , მე-2 სტანდარტის აღწერა ,დაწყებითი საფეხური გვ.53ფიზიკური აღზრდის შეფასების რუბრიკები.
- ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.
- სსიპ -თბილისის N 74 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შეფასება:.
- სკოლის მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ჩატარებული სამონიტორინგო მუშაობის ანგარიში;
- საგნობრივი ოქმები უცხო ენებისთვის;
  ინგლისური (I-VI) და რუსული (V-VI) ენების საგნობრივი კურიკულმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ბუნებისმეტყველება

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში განხორციელებულ და დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებაში მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, იგი ეცნობა ახალ ინფორმაციას, განიხილავს და ასახავს პრობლემების გადაჭრის გზებს, შესრულებულ მასალას გადმოსცემს სხვადასხვა ფორმით.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

1.კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის საშუალებას, ამის დასტურად, მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით მოსწავლეთა ნამუშევრები, განხორციელებული კომპლექსური დავალება ,,ბერიკაცი და ნამყენი“. ასევე,მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით იყენებენ შემდეგ აქტივობებს- ,,დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე“, მოიფიქრეთ და დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები, მოიფიქრეთ, მასალიდან გამომდინარე, ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი მოსაზრება.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

კომპიუტერული ტექნოლოგიები

1.წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ნათლად ჩანს შემოქმედებით პროცესში მოსწავლეების აქტიური ჩართულობა და დასტურდება ტექნოლოგიების მასწავლებელთან ინტერვიუს დროს (ზემოთ ნახსენები kahoot.com პლატფორმაზე კომიქსის შექმნის დავალებისა და canva.com-ის (გრაფიკული დიზაინის შაბლონების პლატფორმაზე) მისალოცი ბარათის შექმის მაგალითებით, ასევე scratch.mit.edu -ის პლატფორმაზე საკუთარი პირობითი ნიშნის (icon) შექმნით.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. რადგან მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროცესის სრულად დანახვა, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით, ზოგადად ხერხდება, რაც არ გამორიცხავს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1.**დაწყებითი საფეხური:** საგნების: მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს ფარგლებში სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისათვის, მასწავლებლები იყენებენ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც დასტურდება დოკუმენტაციით. კურიკულუმებში წარმოჩენილი კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლეს უბიძგებს ფიქრისკენ, რაც დასამუშავებელი საკითხის მიმართ ინტერესს იწვევს: მაგ: „კომიქსის საშუალებით გარემოზე ზრუნვის ასახვა“. „ინტერვიუს საფუძველზე საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ქართული ენის ხელმისაწვდომობაზე და ა.შ.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ასევე, დაწყებით კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, სადაც აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეებთან ერთად მშობლები.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

1 დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები მიმართულია მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაციისკენ, მოსწავლე თავად განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტსა და სხვადასხვა რაკურსით.

დავალებები კორელაციაშია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, რაც უადვილებს მოსწავლეს სამიზნე ცნებების გააზრებას. სწავლის პროცესში მოსწავლე თანამშრომლობს თანატოლებთან, შეფასება ხდება მრავალფეროვანი ფორმით, მოსწავლე იღებს და თავადაც გასცემს უკუკავშირს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს, რომ მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ავტონომიურობას, წაახალისებს მათი მხრიდან ინიციატივას და ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

1კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემებისა და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მტკიცებულებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ პროექტში „განათლება დემოკრატიისთვის“ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ მრავალფეროვანი აქტივობებითა და შემოქმედებითი პროდუქტებით- „საახალწლო კარნავალი. ხელნაკეთი საახალწლო საჩუქრების გამოფენა- “ჩემი პატარა ხელებით“ (I-VI კლასები) . აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ბუნებისმეტყველება

2როგორც კურიკულუმში ჩანს, ყურადღება ექცევა წინარე ცოდნის გააქტიურებას (მაგ., მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურება „კითხვები ბარათებით“). . საბუნებისმეტყველო საგნებში კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები და ამ ეტაპებისათვის გაწერილი გაკვეთილების გეგმები გააღვივებს მოსწავლეებში შინაგან მოტივაციას და ხელს შეუწყობს აქტიურ სწავლას. შედეგად, ახალი ცოდნის კონსტრუირება განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

2. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ მასწავლებლები კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ. გასაუბრებისას გაგვიზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას.**ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

2.კომპლექსური დავალებების საკვანძო კითხვებში ასახულია წინარე ცოდნის გააქტიურების მცდელობა.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა

2 .მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კომპლექსური დავალებებში პირობას მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს და ნაცნობი საკითხის მეშვეობით შეძლებენ დავალებაში არსებული პრობლემის გადაჭრას. სკოლა გეგმავს ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების მომზადებასა და განხორციელებას, რაც გააძლიერებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას და ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავიანთი იდეით მოსწავლისათვის გასაგები, ხელშესახები ნიუანსებით არის ჩამოყალიბებული, ამავდროულად, დოკუმენტებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მოსწავლის ბარათებში, პირობები საინტერესო სიტუაციებზეა აგებული და კურიკულუმში ასახული ურთიერთმიმართებები წარმოაჩენს კონსტრუქტივიზმის მნიშვნელოვან გზას- ნაცნობიდან უცნობისაკენ.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

2. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მიერ განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებისას გათვალისწინებულია, რომ მათზე მუშაობის პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

2 . ინგლისური და რუსული ენის წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სამიზნე ცნებები მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობ თემატურ კონტექსტებში (რომლებიც დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში), დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, მოსწავლისთვის შეთავაზებული ნაცნობი თემატიკა, ხელს შეუწყობს მოტივაციის გაზრდას, მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანი ძალების გააქტიურებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი, ახალი ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება და გამოყენება. ამასვე ემსახურება მოსწავლეების სასკოლო პროექტებში ჩართვა. კერძოდ, პროექტი: სასკოლო პროექტი "განათლება დემოკრატიისთვის", რომელშიც ჩართულები იყვნენ დაწყებითი საფეხურის მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეები.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

2.ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კომპლექსური დავალებების იდეა/პირობები, შინაარსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით დაა.შ. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ახალი ცოდნის გადაცემა ხდება წინარე ცოდნის გამოყენებით. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ- დაწყებით საფეხურზე, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ბუნებისმეტყველება

3.დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული დავალებები, გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებლის მიერ მიცემული უკუკავშირი და სოლო ტაქსონომიით მიღებული კომენტარი ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

2.მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობას, მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად ,რა ცოდნამ,გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს

, რომ მოსწავლეებმა ნამუშევრის წარდგენის შემდეგ თანატოლების წინაშე ისაუბრეს აღნიშნული დავალების შექმნის პროცესზე , დეტალურად გაანალიზეს თითოეული ნაბიჯი , სწავლის პროცესი , რასაც , შესაბამისად , მოჰყვა უკუკავშირი , როგორც თანაკლასელებისაგან , ისე მასწავლებლისგანაც.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

3. მე- 3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტში სხვა დანარჩენ გამჭოლი კომპეტენციებს შორის არის სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას , რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მასწავლებელს შემუშავებული აქვს მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი ორი კომპლექსური დავალებისთვის (მაგ., თამაშის და კომიქსის შექმნა). დასმული აქვს საკვანძო კითხვები, რომლებიც სწავლის სწავლის უნარის განვითარებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

3 მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას. საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხზე. მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობასა და წარმატებას. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე,იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსიას, რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. კურიკულუმში ჩანს, რომ მოსწავალეებს ეძლევათ საშუალება დაეუფლონ სწავლის სწავლას, რადგან შემოქმედებითი პროდუქტები (კომიქსი, პრეზენტაცია, ფოტო-კოლაჟი, ბუკლეტი), რომლებსაც მოსწავლეები შექმნიან დავალებზე მუშაობის პროცესში საშუალებას მისცემთ არა მარტო განივითარონ დამოუკიდებლად სწავლის სტრატეგიები, ასევე შექმნილი

შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისას ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მიგნებები, შესაძლებლობები.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

3. სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები

3 დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მოსწავლის გამჭოლი უნარების განვითარებაზე, კერძოდ, პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია. კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი; ამის გარდა, წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომლებიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე (მოსწავლე სვამს კითხვებს და აკეთებს ანალიზს შემდეგ კითხვებზე: რა შევასრულე კარგად? რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მომიტანა წარმატება? რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა? როგორ გადაჭრა დაბრკოლებები? რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა).

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

3._ თვითშეფასების ფორმაში სკოლა წარმოადგენს ხედვას სამომავლოდ, თუ როგორ შეძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ამასთან სკოლის საჭიროების კვლევის ანალიზში, კათედრების გამოკითხვების შედეგებში სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით არის ჩანაწერი - „კათედრებზე უმეტესად განხილულია სწავლა/სწავლების თანამედროვე სტრატეგიები; ნაწილობრივადაა დანერგილი ახალი სტრატეგიები“; თუმცა სასწავლო პროცესში დაგეგმილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში თავისთავად იგულისხმება, რომ მოსწავლეებმა სამიზნე ცნებები და საგნობრივი საკითხები გაიაზრონ მრავალმხრივად, რაც ითვალისწინებს სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა აღნიშნული მსჯელობა. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა თვითრეფლექსიისას აანალიზებს სწავლა-სწავლების პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მრავალფეროვანი, თანამედროვე სწავლების სტრატეგიების აუცილებლობას და აქვს ამის უზრუნველყოფის ხედვა შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული

.ბუნებისმეტყველება

4. დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში არსებითია კურიკულუმის თემატურად სწორად დაგეგმვა. გასული სასწავლო წლის მატრიცები ცოდნის სამ კატეგორიაზეა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) ორიენტირებული.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

4. კომპლექსური დავალებები პირდაპირ პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში,მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.მტკიცებულებად კი მოსწავლეთა ნამუშევრებიც წარმოადგინეს.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

4.ფორმალური განათლების კუთხით მასწავლებლის მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების მაგალითია - კომპიუტერული კომპონენტების ადგილობრივი ბაზრის კვლევა (კომპლექსური დავალება მე-6 კლასში), თუმცა ეს შემთხვევა უფრო პროექტის ფორმას მიესადაგება. არაფორმალური განათლების კუთხით რობოტიკის კლუბის საქმიანობა არის ამის დასტური ,- რობოტის შექმნა ცალსახად ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას გულისხმობს. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მოსწავლეების მხრიდან დიდი ინტერესი კლუბის მიმართ.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა

4. მათემატიკის კათედრაზე ახლად შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. მაგალითად, მე-5 კლასში კომპლექსური დავალება „მეგობრები მაკდონალდსში," განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ რიცხვებზე შეკრებისა და გამრავლების მოქმედებების შესრულება, მათი ერთმანეთთან დაკავშირება და ამაზე დაყრდნობით ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე ტექსტიანი ამოცანის ამოხსნა.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების ჩარჩოში ჩანს , რომ კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იმუშავებს, რადგან არა მარტო დამხარე კონტექსტები ჩანს, არამედ კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალებები, რომლებიც სამიზნე ცნების არსს გააზრებინებს პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენებით, აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციითაც- დავალების განხორცილების ამსახველი მასალა, ასევე ინტერვიუთი, სადაც მასწავლებლები აღწერენ შესაბამის სტრატეგიებს.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია. .

ფიზიკური აღზრდა

4. დაწყებითი საფეხური - სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4 ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება უცხოური კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. მასალებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. მათ შეუძლიათ დასვან და მიიღონ პასუხი შეკითხვებზე მასალასთან დაკავშირებით (დეკლარატიული ცოდნა). გარდა ამისა, მოსწავლეებს შემუშავებული აქვთ მოქმედების წესები და შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, გამომუშავებული აქვთ გარკვეული უნარები (პროცედურული ცოდნა). უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული პროექტული ტიპის (სასკოლო პროექტი, რომელშიც ჩართული იყო მე-5 და მე-6 კლ.), კომპლექსური ბუნების დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

4. დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ბუნებისმეტყველება

5.დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარებათ კომპლექსური დავალებები და მასწავლებლის უკუკავშირები სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულებისა და არაფორმალური აქტივობების განხორციელების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

5.საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა,საკვანძო ასპექტები,კომპლექსური დავალებები,მოსწავლეთა ნამუშევრები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და ,თავისთავად, მასწავლებელს ეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

კომპიუტერული ტექნოლოგიები

5. ინტერვიუს დროს საგნის მასწავლებელმა გაიხსენა PH Mission (GEO) (ph-int.org) საგნების ინტეგრირებული სწავლების განვითარების ხელშესაწყობი პროექტი სამოქალაქო განათლების და ტექნოლოგიების მიმართულებით, რომლის გამარჯვებული გახდა სკოლის გუნდი და მიწვეული იქნა ვერმონტში. სკოლის წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება სკოლის ხედვა USAID , PH INTERNATIONAL საერთაშორისო პროექტებში, ალტეს და ილიას უნივერსიტეტთან თანამშრომლობის .

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

5. სასწავლო პროცესის დანახვა საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით ხერხდება. შესაბამისად, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები წარმოაჩენს გზას, თუ როგორ მოახერხებს მოსწავლე ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, კერძოდ, კომპლექსური ბუნების დავალებები: მაგ: „კომიქსის საშუალებით გარემოზე ზრუნვის ასახვა“. „ნახატი/ პლაკატის შექმნა, რომლებიც წარმოაჩენს წარსული პერიოდის ტიპურ საცხოვრისს, ოდა სახლს და წამყვან მეურნეობის დარგს იმერეთის მხარეში“.ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, გამოწვევებთან გამკლავებასა და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე. ეს კი დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის გამთლიანებასა და ურთიერთდაკავშირებაში.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.. სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, მეტწილად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებითა და პროექტული ტიპის აქტივობებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. რაც გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რომლებიც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, მოსწავლე განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა უზრუნველყოფს მოსწავლის ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. შესაძლებელია დასკვნის გაკეთება რომ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა

5. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტში „განათლება დემოკრატიისთვის“ ჩანს, რომ მრავალფეროვანი აქტივობებით, საგანთა კავშირებითა და მოსწავლეთა ცხოვრებისეული კონტექსტებიდან გამომდინარე ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- I-VI კლასის საბუნებისმეტყველო, მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს საგნის კურიკულუმი/ები;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი პროგრამები
- ინგლისური (I-VI) და რუსული (V-VI) ენების საგნობრივი კურიკულმები
- დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ნამუშევრები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- სასკოლო პროექტი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.**

ბუნებისმეტყველება

1.დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში კურიკულუმში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც დაეყრდნობა სწავლა- სწავლების პროცესს. მნიშვნელოვანია შესასრულებელი კომპლექსური დავალებები,

განმავითარებელი შეფასება, სწავლის პროცესის შეფასება და საჭიროებების კვლევა. ფართო გამოცდილება ამ საფეხურის მასწავლებლებს აქვთ. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავების პროცესშია.
ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

1.წარმოდგენილ დანართებში , კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები , მკვიდრი წარმოდგენები ,საკითხები , კომპლექსური დავალებები , რომლებიც განსაზღვრავს იმ ცოდნას , რომელსაც მოსწავლე საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები გააზრებული და გაცნობიერებულია მიზნის თვალსაზრისით. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

1. კომპ_ტექნ_ახალი_02_02_2022 სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულია 3 მთავარი მიმართულება - კომპიუტერული ტექნოლოგები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება. ამ საგანში არცერთი მიმართულების გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნის მასწავლებელი ქართულენოვანი წყაროების სიმცირის გამო სწავლა-სწავლების დროს იყენებს საინტერესო, ელექტრონულ რესურსებს მაგალითად learningapps.com, socrative.com , eschool.ge , edutopia .org . სკოლაში არსებობს და ძალიან პოპულარულია რობოტიკის კლუბი, რომელიც სკოლის ფინანსებითა და მასწავლებლის დიდი ძალისხმევით შეიქმნა და ფუნქციონირებს.
ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

1.სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი სამიზნე ცნებები/ ქვეცნებები და ა.შ. კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გაანალიზებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებში მკაფიოდ ჩანს მთავარი ორინეტირები- სამიზნე ცნებები, მათი დაზუსტების საშუალებას მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა, რადგან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები მოიცავს საკითხის დონეზე დაზუსტებულ მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც დავალების მნიშვნელოვანი ნაწილებია- შეფასების კრიტერიუმები, ასევე კურიკულუმებში სამიზნე ცნების დონეზე ჩანს იერარქია- ქვეცნება. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

ფიზიკური აღზრდა

1.სკოლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესი. კურიკულუმში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

1.უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებებისა და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლეების მიერ გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამ ცოდნისკენ სვლა მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომებით ხორციელდება. კერძოდ, კათედრის მიერ შემუშავებულ დაწყებითი საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმებში, კომპლექსური ბუნების დავალებებსა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მსჯელობიდან გამომდინარე ,შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით .

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ბუნებისმეტყველება

2.დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო დისციპლინებში საკითხები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა. დაწყებით საფეხურზე შემსვლელი მასწავლებელი გეგმა-რეფლექსიაში აღნიშნავს, რომ სასურველია მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლების მიზნით საგაკვეთილო პროცესში გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული მიდგომები. სასწავლო საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ისინი არც ძალიან რთულია მოსწავლისთვის და არც ძალიან ადვილი.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

2.ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები,მართონ საკუთარი ემოციები.მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე (წიგნის, ფილმის მულტფილმის მიმოხილვა, თხზულების დაწერა თემაზე-,,ვინ ვარ მე“, როლური თამაში და სხვა).

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

კომპიუტერული ტექნოლოგიები

2. ფსიქო-სოციალურ და პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად კათედრაზე შექმნილია სხვადასხვა შეფასების რუბრიკები (მოსწავლის თვითშეფასება, ჯგუფური და წყვილებში მუშაობის რუბრიკა, ჯგუფის წევრების თვითშეფასების რუბრიკა და სხვა). მასწავლებელი იყენებს სწავლების დროს განმავითრებელ შეფასებას , “კრიტიკული მეგობარი”-ის ინსტიტუტს და სქალფოლდინგის სტრატეგიას, მაგალითად menti.com , რაც ქმის პოზიტიურ გარემოს.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სკოლის მიერ განხილული სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. გასაუბრებისას გამოიკვეთა .რომ მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში. (მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა სასწავლო-შემეცნებითი მათემატიკური ვიქტორინა VIკლ);

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით , მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლისთვის, კათედრისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებების გათვალისიწინება მათი პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალების გასიტყვების პროცესში რამდენად მნიშნელოვანი იყო მათთვის მოსწავალის უკუკავშირი დავალებაზე მუშაობის თვალსაზრისით.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა

2. სკოლაში სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები სპორტული თემატიკაზე შექმნილი ფილმები. კურიკულმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მოსწავლეების მიერ შექმნილი ბუკლეტები

უცხოური ენები

2.შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას . წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითარება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა, პასუხისმგებლობა და ხელს უწყობს ამ ცოდნისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თუ უნარების განვითარებას მოსწავლეებში. ეს ჩანს მოსწავლეების დავალებში, შეფასების რუბრიკებსა და ანალიზებში, არაფორმალურ აქტივობებში, კერძოდ, ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმებში დაწყებითი I- VI კლასებისათვის; არაფორმალური განათლების აქტივობაში - სასკოლო პროექტში: "განათლება დემოკრატიისთვის."

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები. კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარ ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სკოლის 2022-2023 სასწავლო გეგმაში (მუხლი 4. 4.1- დაწყებითი საფეხურის ამოცანები) ნათლადაა წარმოდგენილი სკოლის ხედვა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესთან მიმართებით, რაც აისახება 2023-2024 სასწავლო წლის ჩარჩო-კურიკულუმებით განსაზღვრულ სასწავლო პროცესში. ამასთან, სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელებული აქვს პროექტი განათლება დემოკრატიისთვის –„შეიცანი თავი შენი" , სადაც ჩართული იყო ორივე საგანი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სხვადასხვა აქტივობებით. ნათლად წარმოჩინდა, რომ პროექტის მიზანი და მიმართულებები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ბუნებისმეტყველება

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს 2022-2023 სასწავლო წელს შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. მათ უკვე გაიარეს ტრნინგები ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში და აქვთ სათანადო გამოცდილება ახალი სასწავლო წლიდან შესაბამისი კუთხით მუშაობის განსახორციელებლად.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა

3.კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, (კითხვის, წერის, ჩართულობის,ზეპირმეტყველების, პრეზენტაციის), ასევე აქვთ სოლო ტაქსონომიით მოსწავლის შეფასების გამოცდილება. გაცნობიერებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა სწავლა-სწავლების პროცესში, მომავალი სასწავლო წლისათვის შერჩეული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი,ასევე, 2023-2024 სასწავლო წლიდან , თემებთან მიმართებით,სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით, შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

3.ჰოლისტური მიდგომა სწავლებისას წარმოჩენილია მოსწავლის ჩართულობა შეფასების რუბრიკაში, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი (მაგალითად, ინვოისის შედგენა კომპიუტერის კომპონენტების ადგილობრივი ბაზრის კვლევის შედეგად ექსელის პროგრამაში) .

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

3.მათემატიკის კათედრაზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის, მნიშვნელობა.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე . ამჟამად მიმდინარეობს შეფასების რუბრიკების სრულყოფაზე მუშაობა. მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელობას სწავლა-სწავლების პროცესში და ამბობენ, რომ მნიშვნელოვანი იქნება მათი შემუშავება მოსწავლეების ჩართულობით. წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. კათედრის წევრებთან- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იზიარებენ სკოლის საერთო მიდგომას მოსწავლის შეფასებასთან მიმართებით და ხედვას, რომ შეფასება ინტეგრირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში, მასწავლებლებმა ისაუბრეს, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკების გამოყენების პრაქტიკაზე, განმსაზღვრელი შეფასებისას, ასევე განმავითარებელი შეფასების განხორციელების ხერხზე- SOLO-ტაქსონომიაზე.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა არის ჰოლისტური ხასიათის და მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების საჭირეობისამებრ გამოყენება და საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რომლებსაც იყენებენ მასწავლებლები, დაეხმარება მოსწავლეებს ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრები წესის პრინციპების გაცნობიერებაში.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასება მეტწილად ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს, რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ, მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავისა და თანატოლების შეფასება: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

3..მასწავლებელთა მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

ბუნებისმეტყველება

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

4.კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, (კითხვის, წერის, ჩართულობის,ზეპირმეტყველების, პრეზენტაციის), ასევე აქვთ სოლო ტაქსონომიით მოსწავლის შეფასების გამოცდილება. გაცნობიერებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

4. წარმოჩენილია მოსწავლის ჩართულობა შეფასების რუბრიკებში. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა

4.მათემატიკის კათედრაზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები,რომლებიც ვალიდურია.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იზიარებენ სკოლის საერთო მიდგომას მოსწავლის შეფასებასთან მიმართებით.შეფასება ობიექტურია.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა არის ობიექტური და ვალიდური. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები

4.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ქმნიან შეფასების რუბრიკებს. შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ობიექტურ ხასიათს.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

4..მასწავლებელთა მიერ შექმნილი შეფასების სისტემა არის ობიექტური და შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. გამოწვევად რჩება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნა და განხორციელება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების დიზაინი/გეგმა, პროცესის აღწერა, შედეგების ანალიზი.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სკოლის კათედრების წევრებთან გასაუბრების დროს აღწერილი ფაქტი - კომპლექსური დავალების დროს მოსწავლეების მიერ შექმნილი კომიქსების გამოფენის მოწყობა დაწყებით საფეხურზე.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ „მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში". განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- I-VI კლასის საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმი/ები;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი პროგრამები
- I-VI კლასის მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველო კურიკულუმები;
- კომპიუტერით-სარგებლობის-წესები-ბავშვებისათვის (2).pdf
- შეფასების-რუბრიკები.pdf
- შეფასება-თვითშეფასება.zip/შეფასება-თვითშეფასება/თვითშეფასება-თამაშის-შექმნაზე-მოსწავლის.pdf
- შეფასება-თვითშეფასება.zip/შეფასება-თვითშეფასება/თვითშეფასება-კომიქსები-მოსწავლის.pdf
- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი.pdf
- დებულებები-წესები.zip/ბრძანება2-16,15.02.21პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.pdf
- შეფასების რუბრიკები/გაწერილი კრიტერიუმები
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი
- ინგლისური (I-VI) და რუსული (V-VI) ენების საგნობრივი კურიკულმები
- სკოლის სასწავლო გეგმა 2022-2023

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს იკვეთებოდა წევრებს შორის თანამშრომლობითი მხარდაჭერა. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი და წარმოდგენილია საქმიანობის ანგარიში, თვითმმართველობის 2022-2023 წლის აქტივობები, თვითმმართველობის სხდომის ოქმები. კლასის დონეზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის მოსწავლის მხარდამჭერი შეფასების-თვითშეფასების რუბრიკები , რომლებიც შექმნილია კათედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ. მაგალითად, გამოყენებულია შეფასების კრიტერიუმი - სხვისი აზრების მოსმენა და პატივისცემა.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2.კლასში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. წარმოდგენილ სასწავლო პროგრამებში მოცემულია მოსწავლის აქტიური ჩართვის შესაძლებლობები. კომპლექსური დავალებების იდეაში საკვანძო კითხვებში, შედეგების ინდიკატორებში ნათლად ჩანს მოსწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგია.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლისა და კათედრის ორგანიზაციული კულტურა კარგად იყო წარმოჩენილი სკოლაში ვიზიტის დროს. მასწავლებლების აქტიური ჩართულობით იგეგმება სასკოლო აქტივობები. შესამჩნევია მათი მხრიდან სკოლის პრესტიჟზე ზრუნვა და მიკუთვნილობის, გუნდურობის გრძნობა, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის პერსონალისთვის დანერგილია კომუკაციის სხვადასხვა საშუალებები, მათ შორის ციფრული (მაგალითად, ფეისბუკ გვერდი, რომლის ადმინისტრირება ხორციელდება მხოლოდ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით).

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მექანიზმები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. თანამშორმლობითი და პროექტული სწავლება, მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები, ძალადობის და კონფლიქტის წინააღდეგ პრევენციული ღონისძიებები ასახულია სასკოლო გეგმაში.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რუბრიკები-მათემატიკის კათედრა.
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2022-2023 წწ.
- თვითმმართველობის სხდომის ოქმი N2;
- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი. ჯგუფის წევრები წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით აკვირდებიან თითოეული პედაგოგის საქმიანობას და მასწავლებელს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.
   ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.
2. სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება წახალისებულია შესაბამისი ინტერვენციებით. მაგალითად, სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტში განხილულია კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, ადმინისტრაციის, მშობლის და მოსწავლის ჭრილში.
   ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.
3. სკოლის დირექტორისა და მასწავლებლებთა მოსაზრებით, შეფასების და მონიტორინგის შედეგების ანალიზი იდენტიფიცირება პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა სკოლაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციაში კარგად იკითხება სკოლის ინტერვენციების განხორციელების მზაობა. 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყო სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტი შექმნა.
   ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი;
- შეფასების-თვითშეფასების რუბრიკები-მათემატიკის კათედრა;
- მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარების გეგმა;
- 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ჰოლისტურია. გამოყენებულია შენდეგი სახის შეფასების წყაროები: სკოლის საჭიროების შესწავლა, ანკეტირება, დიაგნოსტიკური ტესტირება და სხვა.
   ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.
2. სკოლაში შეფასების დროს გათვალისწინებულია სხვადასხვა კონტექსტი (ინფრასტრუქტურა, გარემო, უსაფრთხოება, მდა სხვა). სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტში ვკითხულობთ სკოლის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებში: ციტატა “ 1. ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; 3. არაფორმლური განათლების გაძლიერება; 4. სასკოლო კულტურის შენარჩუნება-განვითარება; 5. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის, სოციალური უნარებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარება”.
   ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.
3. მონაცემთა შეგროვების მეთოდები მრავალფეროვანია: ფოკუს ჯგუფების გამოკითხვა, ანკეტირება, დიაგნოსტირება
   ინდიკატორი 2.3.2.13 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტსა და 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასების ნაწილში გათვალისწინებულია მრავალი ფაქტორი (სკოლის რეპუტაცია , სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის კომუნიკაცია და ა.შ.

ინდიკატორი 2.3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი;
- 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვისა და რევიზიას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ატარებენ სამუშაო შეხვედრებს, რათა შეიმუშაონ იმ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში დანერგავენ.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.მასწავლებლებმა და კათედრის თავმჯდომარეებმა აღნიშნეს, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობისა და ვალიდობის მონაცემები.

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ხოლო კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხური

სტანდარტი 2 - საბაზო საფეხური	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ავტორიზაციის ექსპე ავტორიზაციის ექსპერ	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ-კონცეპტუალური ნაწილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხონებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, დაკვეთის გათვალისწინებით განსაზღვრავს: სკოლის ფილოსოფიას, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესი მოიაზრებს საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენას, კოლეგებთან ერთად განხილვას, უკუკავშირს, გასული წლების გამოცდილების გაზიარებასა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას,ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონცეპტუალური იდეების განხილვას, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლას აქვს საერთო, გაზიარებული ღრუბლოვანი სივრცე, სადაც ხდება იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიებისა და უკუკავშირის თავმოყრა.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში სასკოლო თემი და მისი საზოგადოებრივი ცხოვრება მთავარი ორიენტირია. საგნის მასწავლებლების, დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის ანგარიშები, რეფლექსიები, მიგნებები, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა, საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმი, არაფორმალური განათლების პრევენციული ხედვა და სასწავლო პროცესის ანალიზი სკოლისთვის სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შემუშავების საშუალებაა. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

სკოლის მიერ სასწავლო კურიკულუმზე მუშაობის პროცესი წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტზე გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა სკოლის კურიკულუმის შექმნაში. მასწავლებლების მიერ წინა სასწავლო წლის შედეგების გაანალიზებისას დაფიქსირებული გამოწვევები, მშობელთა კრებებზე გამოკვეთილი საჭიროებები განხილული და გათვალისწინებულია პედაგოგიური საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი წარედგინება შესათანხმებლად სკოლის სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინფორმაციის გაზიარებისათვის სკოლა იყენებს პირისპირ შეხვედრებსა და ელექტრონულ საშუალებებს(Microsoft 365, Mail, Teams, Forms, OneDrive; Zoom, Gmail , Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი).

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- ბრძანება N2-15, მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცება;
- მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის გეგმა; ხარისხის განვითარებისა და პროფ. მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი N1;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- პედსაბჭოს ოქმი N4
- მშობელთა კრების ოქმები.

1.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საბუნებისმეტყველო

1.საბაზო კლასების კურიკულუმებში ასახულია სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტირები:

- მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა;
- სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა.

მე-8 კლასის ბიოლოგიის საგნის კურიკულუმში თემა - „ნივთიერების მიმოცვლა და ტრანსპორტი“ მე-3 საკითხში ასახულია ყველა სამიზნე ცნება. ფიზიკის საგანში მე-7 კლასის კურიკულუმში მხოლოდ III თემის ყველა ველი სწორადაა შევსებული. ამავე საფეხურ ქიმიის საგნის კურიკულუმები თითქმის სრულყოფილადაა შევსებული.

ბიოლოგიის საგანში მე-7 კლასის კურიკულუმში მხოლოდ თემაში - „ მიკროორგანიზმი“ მე-3 საკითხის გასწვრივ შესაბამის ველში ასახულია სამიზნე ცნება. მე-9 კლასის კურიკულუმში თემა - „უჯრედული მეტაბოლიზმი“ ნაწილობრივაა ასახული სამიზნე ცნებები. „სამიზნე ცნება ქვეცნების“ ველი არ მოითხოვს მაკრო ცნებას.

ქიმიის საგანში მე-8 კლასის კურიკულუმში პირველი თემის მე-2 საკითხში „სამიზნე ცნება ქვეცნების“ ველი არაა შევსებული, ხოლო მე-3 თემის „სამიზნე ცნება ქვეცნების“ ველი ცარიელია. ქვესაკითხები ასახული არ უნდა იყოს სამიზნე ცნებების ველში. მე-9 კლასის კურიკულუმში I თემის მე-2 საკითხში და II თემის პირველ საკითხში არაა ასახული სამიზნე ცნებები. ფიზიკის საგანში მე-8 კლასის კურიკულუმში არასწორადაა შევსებული სამიზნე ცნებები. მე-9 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები ძველი სტანდარტითაა შევსებული და I თემის სახელწოდება („არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა“) არასწორია.

კათედრის წევრების ზეპირსიტყვიერი განმარტებით, კურიკულუმები დამუშავების პროცესშია და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე თემის ფარგლებში აისახება ყველა სამიზნე ცნება, გასწორდება ხარვეზები და კურიკულუმების მიიღებს სრულყოფილ სახეს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

1კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე,სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები,მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები,რომლებიც მოსწავლის ტრანსფერის არეალთან ახლოსაა,ვინაიდან,კურიკულუმი დახვეწის პროცესშია,მასწავლებლებს აქვთ მზაობა,მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი,რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში თითო კომპლექსურის განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

1.მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემა, საკითხები, ქვესაკითხები. ზოგიერთ თემაზე კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები (ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც). მე-7 კლასში (თემა: კოორდინატები წრფესა და სიბრტყეზე") მაწავლებელმა გამოიყენა "კვირის გეგმის" აქტივობა. „კვირის გეგმა" არის კარგი საშუალება იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული. ეს მეთოდი მოსწავლეებს აძლევს დამოუკიდებელი სწავლის შესაძლებლობას - სწავლის ტემპის, განსხვავებული შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ,,კვირის გეგმის" გამოყენება ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს თანამშრომლობითი და სოციალური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო

1. : მეშვიდე კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში წარმოდგენილია გეოგრაფიის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემა და ნათლად იკვეთება, თუ რომელი საკითხებითა და რესურსებით ახერხებს მასწავლებელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებას , მე-8 და მე-9 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოში ,გარდა სავალდებულო თემებისა- კავკასიისა და სამხრეთი საქართველოსი, არცერთ სავალდებულო თემაში არ ჩანს მასწავლებლის მიერ შერჩეული საკითხებით რომელი გრძელვადიანი მიზნები მუშავდება; მხოლოდ სავალდებულო თემა „კავკასიის" მიმართულებით, კურიკულუმი ასახავს სწავლა- სწავლების პროცესში იმ წინარე გამოცდილებას, რომელიც დაკავშირებულია კომპლექსური დავალებების დანერგვასთან. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალების იდეა - სპიტაკის მიწისძვრაზე, ხოლო მე-9 კლასში ჯავახეთის ზეგანზე, სამიზნე ცნებებში წარმოდგენილი აქვს საგნობრივ სამიზნე ცნებად: „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი", რომელიც მაკრო ცნებაა. შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მე-7 და მე- 9 კლასების კონკრეტული მოსწავლეებისათვის, რომელიც მოიცავს ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს. მოსწავლეზე ორიენტირებული სამუშაო პროცესი იკვეთება მე-7; მე-8; მე-9

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასში საგნებში: ისტორია და მოქალაქეობა, სადაც კურიკულუმები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას.
ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

1.საბაზო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე.
ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

1უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის რუსული და ინგლისური ენების (VII-IX) კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომლის ათვლის წერტილს წარმოადგენს გრძელვადიანი მიზანები, სასწავლო შედეგები და მოსწავლის პიროვნული განვითარება. შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული კურიკულუმები, სასწავლო შინაარსთან ერთად, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინეტერესებს, წინარე ცოდნასა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. კურიკულუმების დაგეგმვაში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის მიერ შესრულებულ საუშაოზე, კერძოდ, რა გამოუვიდა მოსწავლეს კარგად, რატომ, რომელი იყო ის ცოდნა და გამოცდილება, რომელმაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა მისთვის წარმატების გზაზე; წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელების, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

1.საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო

2.საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს შეუწყობს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) განვითარებას. მოსწავლე შეძლებს: ფაქტების შედარებას, დასკვნის გამოტანას, პრობლემის გადაჭრას, საკუთარი აზრის გამოხატვას, მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

2.სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ავითარებს სხვადასხვა კომპეტენციას, მაკროცნებების გააზრება ხდება სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, როცა მოსწავლე მუშაობს თხზულებაზე,ცხადია, აყალიბებს ნარატივს,ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება ,,წიგნიერება“.

ინდიკატორი 2.1.2.2.დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

2. საბაზო საფეხური - მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ გამოკვეთილი 6 ფუნქციურ კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია,შემოქმედებითობა,ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა) ფორმირებაზეა აქცენტირებული.

ფუნქციურ-კომპონენტური უნარებისა და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების(მაგ. მონაცემთა ანალიზი მეათე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე,იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება და ბოლოს, გააკეთოს რეფლექსია, რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მე და საზოგადოება; ჩვენი საქართველო

2. საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, მკაფიოდ ჩანს , თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ საბაზო საფეხურზე ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის ფარგლებში.

სამივე საგნის ფარგლებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები ეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს სასწავლო მასალის იდეა, განივითაროს გლობალურ-ფუნქციური უნარები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები (მათ შორის ადაპტირებული კომპლექსური დავალებების გამოყენების).

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

2.საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩამოყალიბებულია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურეობრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, აგრეთვე კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვეტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები.

ინდიკატორი 2.1.2.2.დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

2 შესწავლილი დოკუმენტაციის შედეგად დადგინდა, რომ უცხოური ენების საბაზო საფეხურის (VII-IX) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კერძოდ, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროექტებში, მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, ეფექტურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტს, მათი ანალიზისა და დასკვნების შედეგებს ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

2. საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მკაფიოდ ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მეშვიდე კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობა ნაწილობრივ დარღვეულია და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული.საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას ორივე საგნის ყველა თემატური ბლოკის ფარგლებში ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

ბუნებისმეტყველება

3.სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-2 მიმართულების „სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა“ ამოცანებში ვკითხულობთ - „2.1 სკოლა უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესებში და სკოლის სასწავლო გეგმის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, საჯაროობასა და გამჭვირვალობას“. ამ ეტაპზე საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს შემუშავებული აქვთ საგნების მიხედვით კურიკულუმის ჩარჩოს პროექტი, რომელსაც წლის ბოლოს გააცნობენ მშობლებს.

მოსწავლესთან დაკავშირებით ისგ გეგმის შემუშავება განხორციელდება ესგ-ით მითითებულ ვადებში.

შედეგების ანალიზისა და ინტერვენციების დაგეგმვის საფუძველზე მოხდება საგნობრივ კურიკულუმების სამუშაო ვერსიებში ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა

3. ინტერვიუს შედეგად გაირკვა,რომ სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს,მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მოსწავლეს,სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

3.საბაზო საფეხურის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ გარკვეული საჭიროებები, ფასდებიან მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. მათთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები: სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის.დიფერენცირება იკვეთება კომპლექსური დავალების პროდუქტის სახეობის შეთავაზებაშიც.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3.სკოლის საჭიროების კვლევა, საბაზო საფეხურზე, კურიკულუმში საკითხების შერჩევის თვალსაზრისით დაეხმარათ. აღნიშნეს, რომ საკითხების ნაწილი მათ მიერ იყო შერჩეული სახელმძღვანელოსგან დამოუკიდებლად, რადგან უკვე ფლობდნენ ინფორმაციას, მოსწავლეთა ინტერესების შესახებ. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-გეოგრაფიაში, მოქალაქეობაში, ისტორიაში (მე-7 და მე-9 კლასი) ნათლად ასახავს, თუ როგორ ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს (მაგ:ადაპტირებულ კომპლექსური დავალება „ადრეული ქორწინება“).ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა კონკრეტულად ისაუბრეს პროდუქტზე „ჩანახატი“, „გამოძერწე კენგურუ“,რომელიც მოსწავლემ ადაპტირებული კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნა. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურზე გეგმავენ საგნობრივი თვალსაზრისით მოსწავლეზე ფოკუსირებული საჭიროების შესწავლას.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, ზემოთ აღნიშნული მომავალში განაპირობებს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები ადასტურებს, რომ სკოლაში, საბაზო საფეხურზე, არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება მათი ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი აქტიური თანამშრომლობა ინკლუზიური განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით, წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები უცხოური (რუსული და ინგლისური) ენებისთვის (მე-7 და მე-9 კლასი) ასახავს დიფერენცირებული მიდგომებისა და საჭირო რესურსების გამოყენებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, მოდიფიცირება გაუკეთონ აქტივობებსა და დავალებებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შექმნან ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ და განავითარონ მათი სასწავლო და პიროვნული პოტენციალი. დოკუმენტებში იკვეთება დიაგნოსტიკური შეფასება - მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მათი ანალიზი; მოსწავლის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა, განვითარების გზა კონკრეტული ინტერვენციების პროცესში.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვთ სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ბუნებისმეტყველება

4.საბაზო საფეხურზე ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები შესაბამის საგნებში. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით პედაგოგებთან/კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებაზე ბიოლოგიის მასწავლებელმა დააფიქსირა, რომ სკოლაში უკვე პილოტირება მოახდინეს დიაგნოსტიკური შეფასების და შეაფასეს ყოველი მე-5 მოსწავლე. შემუშავებული აქვთ მოსწავლის სწავლის პროცესის მონიტორინგის, დამოუკიდებლობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, რაც ცხადყოფს, თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი. ბიოლოგიის საგანში მე-9 კლასში განხორციელებული კვირის გეგმაც მიმართული იყო მოსწავლეებში მონიტორინგის, შეფასებისა და თვითშეფასების უნარის განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

4.საბაზო საფეხურის შეფასებისათვის აქტიურად გამოიყენება თვითშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. პედაგოგები მოსწავლეებთან მუშაობისას იყენებენ „კვირის გეგმის“ აქტივობას. განმსაზღვრელ შეფასებას პედაგოგები იყენებენ პროცესის საბოლოო შეფასებისათვის. მასწავლებლებს აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ავტორიზაციის მხარდამჭერი ჯგუფის ქოუჩინგისას მასწავლებლებმა შექმნეს ,,ახალი სკოლის მოდელის „პრინციპებით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მომავალ წელს იქნება აქტიურად გამოყენებული.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

4. მათემატიკის კათედრას წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების პირობები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ,

განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზანს. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალის გაცნობისას იკვეთება, რომ კათედრა ძირითადად იყენებს პედაგოგთა მიერ შექმნილ რუბრიკებს. შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. მასწავლებლები იყენებენ ზოგადი შეფასების რუბრიკებს, სწავლა-სწავლების პროცესში, განმავითარებელ კომენტარებს (ვერბალური ფორმით), წერილობით შემაჯამებელ განმავითარებელ შეფასებას, ასევე გამოკვეთეს, რომ განმავითარებელი შეფასების გაუმჯობესებაზე უნდა იმუშაონ, რადგან ხშირად იყენებდნენ კომენტარებს“ ყოჩაღ“; „კარგია“ და ა.შ. გასაუბრებისას კათედრის წევრებმა ისაუბრეს შეფასების რომელი ინსტრუმენტების გამოყენებას აპირებენ 2023-2024 სასწავლო წლისათვის. კათედრა გეგმავს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა

4. კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილ კომპლექსური დავალებებთან დართული განმავითარებელი შეფასებები რუბრიკები მრავალმხრივი და ვალიდურია. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, სპორტის გაკვეთილის და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების პროცესისაკენ. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

4. უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები უჩვენებს, რომ მოსწავლეთა სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელი პროცესია. შეფასება იწარმოება მკაფიო, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. უცხოური ენების კათედრას შემუშავებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. შეფასების ეს ფორმა ძირითადად ხორციელდება თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. განმავითარებელი შეფასებისთვის კათედრის წევრები იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (რუბრიკები, დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ.) ინდიკატორთან მიმართებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა

<u>4.</u> საბაზო საფეხურის მუსიკის მერვე კლასის სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილია თემებთან მიმართებით სტანდარტის შედეგები, მეცხრე კლასის მუსიკის თემატურ მატრიცაში კი მოცემული კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები ცხადყოფს, რომ განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მათ ქვეცნებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში (თავი 2. მოსწავლეთა შეფასების სასკოლო პოლიტიკა) და დოკუმენტში-მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა დანართი 4, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, სადაც იკვეთება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (მაგ. დიაგნოსტიკური შეფასება,დაკვირვება საგაკვეთილო პროცესში, შეფასების ტიპი-ზეპირი განმავითარებელი. კომპლექსური დავალებები წელიწადში ორი, კომპლექსური ხასიათის შემაჯამებელი დავალებები და სხვ.). ასევე, პედაგოგიური საბჭოს ოქმში (დამტკიცებულია 07.09.2022წ) აღნიშნულია, რომ კათედრა ახდენს თვითრეფლექსიასა და მოსწავლეთა საჭიროებების დიაგნოსტირებას, გეგმას შესაბამის სამოქმედო გეგმას. ამავე დოკუმენტში კათედრის გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა -„ნაწილობრივაა გაკეთებული მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და ასევე, ნაწილობრივაა დაგეგმილი პრობლემების აღმოსაფხვრელად ინტერვენციები“ (ციტირება) . განსახორციელებელ ინტერვენციებში სკოლა აღნიშნავს -„მასწავლებლებმა ახალი სკოლის მოდელის პრინციპების დანერგვის ეგიდით აქტიურად უნდა გამოიყენონ განმავითარებელი შეფასებები მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების შეფასების პროცესში“. დასახელებული მტკიცებულებები (მერვე კლასის სასწავლო პროგრამა, მეცხრე კლასის თემატური მატრიცაში ჩაშენებული კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური საბჭოს ოქმი) ცხადყოფს, რომ ორივე საგანში (მუსიკა,

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ბუნებისმეტყველება

5.საბაზო საფეხურზე გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ კათედრაზე მოსწავლეთა მოსწრების სემესტრულ და წლიურ მაჩვენებელს, სოლო ტაქსონომიისა და კვირის გეგმის ანალიზის შედეგებს, კოლეგების უკუკავშირსა და თვითშეფასებას. საბაზო საფეხურზე შემსვლელი ქიმიის მასწავლებელი გეგმა-რეფლექსიაში აღნიშნავს, რომ გაკვეთილის შეჯამების, გაანალიზების, უკეთ დაგეგმის მიზნით მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეების თვითშეფასება.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

5. მასწავლებლებს გააჩნიათ კურიკულუმის შექმნის გამოცდილება ,წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა,თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთ**ა,**რაც ასახულია სხვადასხვა წყაროში- კათედრის ოქმები,გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი, სამუშაო შეხვედრები.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

5.მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დიდი ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რაც იდენტიფიცირებული იყო საგნის მასწავლებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის, პედაგოგიური საბჭოს, შეფასების ჯგუფის ანგარიშებში, მასწავლებელთა რეფლექსიებში. წარმატებებისა და გამოწვევების შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი ხდებოდა სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლაში არის პრაქტიკა დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ერთობლივად განხილვისა,

რომლის დროსაც ხდება მიღწევების გაზიარება და პრობლემების გამოკვეთა (მაგ. მეათე კლასი, კომპლექსური დავალება“ მონაცემთა ანალიზი“).

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. ინტერვიუს დროს ისტორიისა და მოქალაქეობის მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმში გადადგმულ ნაბიჯზე, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესის დაფუძნებას კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურისაკენ. ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი წინა წლებში წარმატებით დანერგილი დავალებები და მიღებული პრაქტიკული გამოცდილება იყო. თვლიან, რომ გზა, რომელიც არჩეული აქვთ, მათთვისაც და მოსწავლეებისთვის დაძლევადი იქნება.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

5.საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილ კომპლექსური დავალებებთან დართული განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები მრავალმხრივია და ვალიდურია. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც წარმოადგინა სკოლამ ,კერძოდ: კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, სპორტის გაკვეთილისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იქნეს წინარე გამოცდილება

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

5. უცხოური ენების კათედრის სხდომის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია და ინტერვიუს შედეგები მოწმობს, რომ ინგლისური და რუსული ენის საბაზო საფეხურის (VII-IX) კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, ისევე, როგორც უცხოური ენების კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციის და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის

გადამუშავება, დახვეწა და განვითარება. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე დასტურდება სტანდარტებთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

5.სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზში სკოლა გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე წარმოადგენს ინტერვენციებს. სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ცხადყოფს, რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება მოიაზრება შუალედურ სასწავლო მიზნად და მიემართება საგნების სტანდარტებს. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი . VII, VIII IX კლასების მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნების სასწავლო მიზნების განსაზღვრისას მასწავლებლებს ორივე საგანში წარმოდგენილი ჰქონდათ იმაზე მეტი კომპლექსური დავალება, ვიდრე ესგ-ში გათვალისწინებული საგნის საათობრივი დატვირთვა აძლევდა საშუალებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს და წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით თავადვე აღნიშნეს, რომ ამ რაოდენობით დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განსახორციელებლად არაა საკმარისი საგნების საათობრივი დატვირთვა მთელი წლის განმავლობაში და სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე შეცვლიან აღნიშნულ კლასებში კომპლექსური დავალების და თემების რაოდენობას.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-30 წწ სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2023-24 წწ. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი,(საფეხურების მიხედვით)
- საბუნებისმეტყველო კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიში;
- მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა; ზოგადი შეფასების რუბრიკები
- ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი N1
- გაკვეთილის გეგმა-რეფლექსიები;
- 74-ე სკოლის 2023-2024 ციფრული განვითარების გეგმა;
- საგნის სასწავლო გეგმები ;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- თვითშეფასების ფორმა - ნაწილი III , მე-2 სტანდარტის აღწერა ,დაწყებითი საფეხური გვ.53ფიზიკური აღზრდის შეფასების რუბრიკები.
- ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.
- სსიპ -თბილისის N 74 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შეფასება:.
- სკოლის მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ჩატარებული სამონიტორინგო მუშაობის ანგარიში;
- საგნობრივი ოქმები უცხო ენებისთვის;
- ინგლისური და რუსული ენების საგნობრივი კურიკულმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.3 კურიკულუმის განხორციელება

1.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1 სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2 ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3 სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4 სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5 სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ბუნებისმეტყველება

1.საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში კომპლექსური ტიპის დავალების შესრულებისას მოსწავლე წერდა კვლევის ანგარიშს, ესეს, ქმნიდა კოგნიტურ სქემებსა და სახავდა პრობლემის გადაჭრის გზებს. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „ეკომეგობრები“. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით მე-9 კლასში ქიმიის საგანში განახორციელეს კვლევა „საკვებ პროდუქტებში ნიტრატების რაოდენობის დადგენა და პრევენციული ღონისძიებები ფერმერებისათვის“. კვლევამ ხელი შეუწყო მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით იკვეთება,რომ კომპლექსური დავალებები მინიმალურად შესრულდა,ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს,რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმები არ გამორიცხავს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. მოქალაქეობის, ისტორიის, გეოგრაფიის მასწავლებლები, მოსწავლეთა აქტიური ჩართვისათვის იყენებენ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც დასტურდება კურიკულუმებით, ინტერვიუთი. მაგ: „დღიურის შექმნა ჯვაროსანი რაინდის მოგზაურობის შესახებ"; „სტატიის მომზადება თემაზე: „ჯავახეთის ზეგანი" და ა.შ. ინტერვიუმ აჩვენა, არაფორმალური განათლებით როგორ ცდილობენ გაზარდონ მოსწავლეთა მოტივაცია და ინტერესი სწავლის მიმართ. შექმნილი აქვთ კლუბი „თანასწორობა" , რომელშიც კლუბის წევრები სხვადასხვა ტიპის პროექტებსა და აქტივობებზე მუშაობენ (მაგ: საქველმოქმედო პროექტი „სტუმრად უფროს მეგობრებთან" და სხვა).

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ასევე, დაწყებით კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, სადაც აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

1 საბაზო საფეხურის დოკუმენტაციის შესწავლის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასები) სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები მიმართულია მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაციისკენ, მოსწავლე თავად აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებები და თემატიკა რელევანტურია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, რაც გაუადვილებს მოსწავლეს სამიზნე ცნებების გააზრებას, სწავლის პროცესში მოსწავლე თანამშრომლობს თანატოლებთან, შეფასება ხდება მრავალფეროვანი ფორმით, იგი იღებს და თავადაც გასცემს უკუკავშირს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს, რომ მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ავტონომიურობას, წაახალისებს მათი მხრიდან ინიციატივას და ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

1. კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემებისა და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნები

ბუნებისმეტყველება

საბაზო საფეხურზე მე-8 ქიმიის მასწავლებლის გეგმა-რეფლექსიაში ვკითხულობთ, რომ ახალი მასალის ახსნა დაიწყო წინარე ცოდნის გახსენებით. საბუნებისმეტყველო საგანში კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის არსი არის ის, რომ მოსწავლემ გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია და შექმნას საინტერესო პროდუქტი.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

2.ახალი მასალა მოსწავლეებს სათანადო დამუშავების გარეშე არ მიეწოდება. მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ ახალი ცოდნის მიღებას ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, რათა გაუადვილდეთ მოსწავლეებს ახალი მასალის ათვისება,ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო წლისათვის კომპლექსური დავალებების აქტივობებს იმგვარად დაგეგმავენ, რომ მოხდეს სათანადო ცოდნის ახალ ცოდნად გარდაქმნა.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

2. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კომპლექსური დავალებებში პირობას მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს და ნაცნობი საკითხის მეშვეობით შეძლებენ დავალებაში არსებული პრობლემის გადაჭრას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავიანთი იდეით მოსწავლისათვის გასაგები ხელშესახები ნიუანსებით არის ჩამოყალიბებული. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, პირობები საინტერესო სიტუაციებზეა აგებული და კურიკულუმში ასახული ურთიერთმიმართებები წარმოაჩენს კონსტრუქტივიზმის მნიშვნელოვან გზას ცოდნის დაშენების პროცესს.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

2.ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მიერ სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია , რომ მათზე მუშაობის პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

2 უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმები (მე-7, მე-8, მე-9 კლასები) წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სამიზნე ცნებები მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობ თემატურ კონტექსტებში, რომლებიც დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, მოსწავლისთვის შეთავაზებული კარგად ნაცნობი თემატიკა, ხელს შეუწყობს მოტივაციის გაზრდას, მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი, ახლი ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება და გამოყენება. ამ მიზნებს ემსახურება მასწავლებლების მიერ მოსწავლეების სასკოლო პროექტებში ჩართვა. კერძოდ, პროექტი: სასკოლო პროექტი "განათლება დემოკრატიისთვის", რომელშიც ჩართულები იყვნენ საბაზო საფეხურის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები.

დასტურდება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

2. საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ. მუსიკის საგანში მერვე კლასის სასწავლო პროგრამაში თემებთან მიმართებით კათედრას წარმოდგენილი აქვს კითხვები, ასევე მეცხრე კლასის მუსიკის თემატურ მატრიცაში წარმოდგენილი აქტივობები და შეკითხვები ნათლად ცხადყოფს, რომ საბაზო საფეხურზე ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. აღნიშნული მსჯელობა დაადასტურეს ორივე საგნის მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში. ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა -სწავლების პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ბუნებისმეტყველება

3.საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგანში მასწავლებლის კვირის გეგმაში (სკოლას თვითშეფასების ანგარიშის დანართებში წარმოდგენილია აქვს: „კვირის გეგმის" ანალიზი, მე-9 კლასი, ბიოლოგია) ასახული მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტები, ასევე კლუბურ და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი მიმართულია სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

3. კათედრაზე გასაუბრებისას აღინიშნა, რომ აქცენტი მიმართული უნდა იყოს არა იქითკენ , რას სწავლობს მოსწავლე,არამედ როგორ სწავლობს.გათვალისწინებულია, ახალი სასწავლო წლიდან დაგეგმონ ისეთი აქტივობები და შეიმუშაონ ისეთი სტრატეგიები, რომლებიც არა მხოლოდ საკითხის გააზრებას შეუწყობს ხელს,არამედ დააფიქრებს კიდეც სწავლის პროცესზე.
ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა
3.კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებით დასტურდება,რომ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება დაეუფლონ სწავლის სწავლას, რადგან შემოქმედებითი პროდუქტები, რომლებსაც მოსწავლეები შექმნიან დავალებაზე მუშაობის პროცესში , საშუალებას მისცემთ განივითარონ დამოუკიდებლად სწავლის სტრატეგიები.
ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები
3. გეოგრაფიის, მოქალაქეობის, ისტორიის კურიკულუმების ჩარჩოებით დასტურდება,რომ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება დაეუფლონ სწავლის სწავლას, რადგან შემოქმედებითი პროდუქტები (დღიური, სტატია, წერილი, ჩანაწერი და ა.შ.), რომლებსაც მოსწავლეები შექმნიან დავალებაზე მუშაობის პროცესში ,საშუალებას მისცემთ განივითარონ დამოუკიდებლად სწავლის სტრატეგიები. ასევე ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მიგნებები, შესაძლებლობები.
ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.
ფიზიკური აღზრდა
3. სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ- ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების: ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.
ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 საბაზო საფეხურის დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მოსწავლის გამჭოლი უნარების განვითარებაზე, კერძოდ, პერსონალური, სოციალური და სწავლის- სწავლის კომპეტენცია. კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. ამის გარდა, წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომლებიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

3 თვითშეფასების ფორმაში სკოლა წარმოადგენს ხედვას სამომავლოდ, თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ამასთან სკოლის საჭიროების კვლევის ანალიზში, კათედრების გამოკითხვების შედეგებში სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით არის ჩანაწერი - „კათედრებზე უმეტესად განხილულია სწავლა/სწავლების თანამედროვე სტრატეგიები; ნაწილობრივადაა დანერგილი ახალი სტრატეგიები“; თუმცა სასწავლო პროცესში დაგეგმილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში თავისთავად იგულისხმება, რომ მოსწავლეებმა სამიზნე ცნებები და საგნობრივი საკითხები გაიაზრონ მრავალმხრივად, რაც ითვალისწინებს სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა აღნიშნული მსჯელობა. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა თვითრეფლექსიისას აანალიზებს სწავლა-სწავლების პროცესში მრავალფეროვანი, თანამედროვე სწავლების სტრატეგიების აუცილებლობას და აქვს ამის უზრუნველყოფის ხედვა შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული

.ბუნებისმეტყველება

4.საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ გასული სასწავლო წლის საბუნებისმეტყველო საგნების მატრიცებში ასახულია სამიზნე ცოდნის (დეკლარაციული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც არსებითად უწყობს ხელს შედეგს.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა

4. საბაზო საფეხური - განხორციელებული კომპლექსურ დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვის და გააქტიურების საშუალებას.მასწავლებლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს სასწავლო მასალის სიღრმისეული შესწავლის,გააზრების მნიშვნელობაზე ,ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში შემუშავებული კომპლექსური დავალებები ამ მიმართულებითაც გაუადვილებს მასწავლებლებს მუშაობას.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

4. მათემატიკის კათედრის ახლად შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს, რომლის საშუალებით ადასტურებს საკუთარ მიღწევებს საგნობრივ საკითხთან მიმართებით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში.შესაბამისად, მოსწავლე ახდენს სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებას და არა მის ზედაპირულ დასწავლას.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები.

4. საბაზო საფეხური: ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის კურიკულუმებიდან დასტურდება, რომ კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იმუშავებს, წარმოჩენილია დამხმარე კონტექსტები - საკითხი , კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალებები, რომლებიც სამიზნე ცნების არსს გააზრებინებს, პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენებით. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღწერეს შესაბამის სტრატეგიები . მაგ: ისტორიის მასწავლებელმა ისაუბრა კომპლექსურ დავალებაზე, რომელშიც მოსწავლეებს წერილი უნდა მიეწერათ ფარნავაზ მეფისათვის, მასწავლებელმა განიხილა განხორციელებული ნაბიჯები.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

4. სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

4 ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება უცხოური კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. მასალებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. მათ შეუძლიათ დასვან და მიიღონ პასუხი შეკითხვებზე მასალასთან დაკავშირებით (დეკლარაციული ცოდნა). გარდა ამისა, მოსწავლეებს შემუშავებული აქვთ მოქმედების წესები და შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, გამომუშავებული აქვთ გარკვეული უნარები (პროცედურული ცოდნა). მოსწავლეების ჩართვა სასკოლო პროექტში "განათლება დემოკრატიისთვის", რომელშიც ჩართული იყო საბაზო საფეხურის მე-7, მე-8, მე-9 კლასები და მათი კომპლექსური ბუნების დავალებებით უზრუნველყოფა განაპირობებს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანასა და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

4. საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. მუსიკის მერვე კლასის სასწავლო გეგმაში , მეცხრე კლასის თემატურ მატრიცაში თემებთან/სამიზნე ცნებებთან მიმართებით წარმოდგენილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული შეკითხვები და აქტივობები. აღნიშნული მტკიცებულებებისა და მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ბუნებისმეტყველება

5.საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების თემატურად სწორად დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები არის საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალება. არსებითია კლუბური მუშაობაც.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

5. განხორციელებული დავალებები ორიენტირებულია პირობისეული ცოდნის მიღებაზე,,პრობლემის გადაჭრაზე,პროდუქტის შექმნაზე,ავტორიზაციის მხარდამჭერი ჯგუფისა და ქოუჩების დახმარებით ნაწილობრივ შემუშავებულია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები,რაც იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების საშუალებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

5. კურიკულუმებით დასტურდება, რომ მოსწავლე ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას შეძლებს კომპლექსური ბუნების დავალებებით. კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5.კურიკულუმებით დასტურდება , რომ მოსწავლე ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას შეძლებს კომპლექსური ბუნების დავალებებით: მაგ: „ჩანაწერების დღიურის შექმნა - „ წარმოიდგინე რომ ხარ ქართველი ვაჭარი და მიდიხარ სავაჭროდ არაბეთში, აღწერე გზა საქართველოდან არაბეთამდე და ერთი ქალაქი“; პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებები დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის გამთლიანებაში და ურთიერთდაკავშირებაში.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.. სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, მეტწილად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები

5 მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესში.ეს დასტურდება საბაზო საფეხურის კურიკულუმის თემატურ დაგეგმვაში, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით და პროექტული ტიპის აქტივობებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებასა და ახალი პროდუქტის შექმნაზე. ეს ყოველივე ააქტიურებს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარს, რომლებიც მას საშუალებას აძლევს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, მოსწავლე განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა უზრუნველყოფს მოსწავლის ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა

5. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში, მუსიკის მერვე კლასის საგნობრივ პროგრამასა და მეცხრე კლასის თემატურ მატრიცაში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას . კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმებით და გასაუბრებით სამივე საფეხრზე დასტურდება სტანდარტით გათვალისწინებული ინდიკატორთან შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბუნებისმეტყველო, მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს საგნის კურიკულუმი/ები;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი პროგრამები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- სასკოლო პროექტი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ბუნებისმეტყველება

1.საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის 2022-2023 სასწავლო წლის მატრიცებში სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, შესაბამისი ქვეცნებები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. მოსწავლის მიერ შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმების სამუშაო ვერსიები ნაწილობრივაა გაწერილი.
ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

1.მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ არსებული საგნობრივი პროგრამები -კურიკულუმები არ აკმაყოფილებს ახალი სკოლის მოდელის მოთხოვნას, რომ მუშაობა მიმდინარეობდეს პრინციპით - კომპლექსურიდან კომპლექსურამდე. სკოლას უკვე შექმნილი აქვს საგნობრივი ჩარჩო-კურიკულუმები, რომლებშიც ნაწილობრივაა გაწერილი კომპლექსური დავალებები; ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ახალი სკოლის მოდელის მიხედვით სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმზე. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა

1.სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმები, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი სამიზნე ცნებები/ ქვეცნებები და ა.შ. კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გაანალიზებას.
ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის კურიკულუმების ჩარჩოებში მკაფიოდ ჩანს მთავარი ორიენტირები- სამიზნე ცნებები, მათი დაზუსტების საშუალებას მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა, დავალებები მოიცავს საკითხის დონეზე დაზუსტებულ მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც დავალების მნიშვნელოვანი ნაწილებია- შეფასების კრიტერიუმები. ასევე კურიკულუმებში სამიზნე ცნების დონეზე ჩანს იერარქია- ქვეცნება.
ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა

1. სკოლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესი. კურიკულუმში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები

1. უცხოური ენების კათედრის მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ საბაზო საფეხურზე (VII-IX) კათედრის მიერ შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებებისა და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლეების მიერ გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამ ცოდნისკენ სვლა მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომებით ხორციელდება. კერძოდ, კათედრის მიერ შემუშავებულ კომპლექსური ბუნების დავალებებსა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხებისა და საკვანძო შეკითხვებს შორის. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სახელმწიფო ენა

2.წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა,რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. სკოლას აქვს ,,კვირის გეგმის'' გამოყენების პრაქტიკაც, რომელშიც მოსწავლე გეგმავს სამუშაოს, ახორციელებს მონიტორინგს საკუთარ საქმიანობაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეში იდენტობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეგრძნებასა და ავტონომიურობის განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სკოლის მიერ განხილული სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში. (მათემატიკური კლუბი „სიგმა“).

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. კათედრისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისიწინება მათი პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალების გასიტყვების პროცესში რამდენად მნიშნელოვანი იყო მათთვის მოსწავლის უკუკავშირი დავალებაზე მუშაობის თვალსაზრისით, უმეტესწილად მოსწავლეთა პოზიტიურმა გამოხმაურებამ უბიძგათ კურიკულუმებში ახალი კომპლექსური დავალებებიც წარმოეჩინათ მომავალი სასწავლო წლისათვის, დასანერგად.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა

2. სკოლაში სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდი , სპორტული თემატიკაზე შექმნილი ფილმები. კურიკულმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებსა და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, მოსწავლეების მიერ შექმნილი ბუკლეტები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები

2 შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საბაზო საფეხურზე, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას . წარმოდგენილ რუსული და ინგლისური ენის კურიკულუმებში თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე ,როგორებიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითრება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა, პასუხისმგებლობა და ხელს უწყობს ამ ცოდნისა თუ უნარების განვითარებას მოსწავლეებში. ეს ჩანს მოსწავლეების დავალებში, შეფასების რუბრიკებსა და ანალიზებში, არაფორმალურ აქტივობებში.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა

2. საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX კლასის) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცა მუსიკაში, საგნობრივი პროგრამა მერვე კლასში- მუსიკა ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე, დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სკოლის 2022-2023 სასწავლო გეგმაში (მუხლი 4. 4.2- საბაზო საფეხურის ამოცანები) ნათლადაა წარმოდგენილი სკოლის ხედვა საბაზო საფეხურის მოსწავლეების პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესთან მიმართებით, რაც აისახება 2023-2024 სასწავლო წლის ჩარჩო-კურიკულუმებით განსაზღვრულ სასწავლო პროცესში. ამასთან, სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელებული აქვს პროექტი განათლება დემოკრატიისთვის –„შეიცანი თავი შენი“ (განათლება დემოკრატიისთვის),რომელშიც ჩართული იყო ორივე საგანი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სხვადასხვა აქტივობებით. ნათლად წარმოჩნდა, რომ პროექტის მიზანი და მიმართულებები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ბუნებისმეტყველება

საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებელმა წარმოდგინა განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები დიაგნოსტიკური შეფასებისთვის. მან ასევე იმსჯელა, თუ როგორ გარდავქმნათ ინდიკატორები შეფასების კრიტერიუმებად:

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

3.სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა აღნიშნეს,რომ სკოლას ნაწილობრივ განსაზღვრული აქვს ინსტრუმენტები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დასანერგად. ავტორიზაციის მხადამჭერ ექსპერტთა დახმარებით შემუშავებულია კონცეპტუალური ჩარჩოები საგნობრივი კურიკულემებისათვის, ასევე საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისათვის. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას განსაზღვრული აქვთ შეფასების რომელი მოდელით აპირებენ მუშაობას, ასევე განსაზღვრულია დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

3 მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა. მასწავლებლებმა ქოუჩინგის პროცესში შექმნეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლის განაცხადში და კურიკულუმის თანდართულ ფაილებში იკვეთება სამომავლოდ გეგმავენ აწარმოონ მოსწავლეთა დაკვირვება. ამჟამად მიმდინარეობს შეფასების რუბრიკების სრულყოფაზე მუშაობა. მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელობას სწავლა-სწავლების პროცესში და ამბობენ, რომ მნიშვნელოვანი იქნება მათი შემუშავება მოსწავლეების ჩართულობით. წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ იზიარებენ სკოლის საერთო მიდგომას მოსწავლის შეფასებასთან მიმართებით. მასწავლებლებმა ისაუბრეს ზოგადი შეფასების რუბრიკების გამოყენების პრაქტიკაზე. კათედრა გეგმავს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კონკრეტული რუბრიკების შექმნას, შემუშავებული კურიკულუმიდან გამომდინარე, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს შეაფასებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით, ხოლო კომპლექსური დავალებაში განმავითარებელი შეფასებით.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საბაზო საფეხურის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების მხარდაჭერაზე

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

3 სასწავლო პროცესის შეფასება მეტწილად ატარებს ჰოლისტურ ხასიათს, რადგანაც იგი ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების მხარდაჭერაზე. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს, რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. საბაზო საფეხურის კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ, მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავისა და თანატოლების შეფასება: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

3. 2022-2023 წლის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) . საბაზო საფეხურზე, კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ასევე , უნდა აღინიშნოს, რომ 2022-2023 წლის სასკოლო გეგმაში ჩანს ჩანაწერი განმსაზღვრელი შეფასების შესახებ, თუმცა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნების მიმართულებით წარმოდგენილი არაა. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4..მასწავლებელთა მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. გამოწვევად რჩება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნა და განხორციელება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების დიზაინი/გეგმა, პროცესის აღწერა, შედეგების ანალიზი.
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სკოლის კათედრების წევრებთან გასაუბრების დროს აღწერილი ფაქტი - კომპლექსური დავალების დროს მოსწავლეების მიერ შექმნილი კომიქსების გამოფენის მოწყობა დაწყებით საფეხურზე.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასახულია, რომ „მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში"(შესაბამისად, პირად საქმეში შეტანილი წლიური შეფასებები, ცნობები და ასე შემდეგ). განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
  - შეფასების-რუბრიკები.pdf
  - შეფასება-თვითშეფასება.zip/შეფასება-თვითშეფასება/თვითშეფასება-თამაშის-შექმნაზე-მოსწავლის.pdf
  - შეფასება-თვითშეფასება.zip/შეფასება-თვითშეფასება/თვითშეფასება-კომიქსები-მოსწავლის.pdf
  - სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი.pdf
  - შეფასების რუბრიკები/გაწერილი კრიტერიუმები
  - მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი
  - სკოლის სასწავლო გეგმა 2022-2023

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს იკვეთებოდა წევრებს შორის თანამშრომლობითი მხარდაჭერა. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი და წარმოდგენილია საქმიანობის ანგარიში, თვითმმართველობის 2022-2023 წლის აქტივობები, თვითმმართველობის სხდომის ოქმები. კლასის დონეზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის მოსწავლის მხარდამჭერი შეფასების-თვითშეფასების რუბრიკები , რომლებიც შექმნილია კათედრის მიერ. მაგალითად, გამოყენებულია შეფასების კრიტერიუმი - სხვისი აზრების მოსმენა და პატივისცემა.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2.კლასში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. წარმოდგენილ სასწავლო პროგრამებში მოცემულია მოსწავლის აქტიური ჩართვის შესაძლებლობები. კომპლექსური დავალებების იდეაში საკვანძო კითხვებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების ინდიკატორებში ნათლად ჩანს მოსწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგია.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლისა და კათედრის ორგანიზაციული კულტურა კარგად იყო წარმოჩენილი სკოლაში ვიზიტის დროს. მასწავლებლების აქტიური ჩართულობით იგეგმება სასკოლო აქტივობები. შესამჩნევია მათი მხრიდან სკოლის პრესტიჟზე ზრუნვა და მიკუთვნილობის, გუნდურობის გრძნობა, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის პერსონალისთვის დანერგილია კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება, მათ შორის, ციფრული (მაგალითად, ფეისბუკ გვერდი, რომლის ადმინისტრირება ხორციელდება მხოლოდ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით).

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მექანიზმები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. თანამშორმლობითი და პროექტული სწავლება, მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები, ძალადობისა და კონფლიქტის წინააღდეგ პრევენციული ღონისძიებები ასახულია სასკოლო გეგმაში.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რუბრიკები.
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2022-2023 წწ.
- თვითმმართველობის სხდომის ოქმი N2;
- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი. ჯგუფის წევრები წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით აკვირდებიან თითოეული პედაგოგის საქმიანობას და მასწავლებელს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება წახალისებულია შესაბამისი ინტერვენციებით. მაგალითად, სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტში განხილულია კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, ადმინისტრაციის, მშობლისა და მოსწავლის ჭრილში.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის დირექტორისა და მასწავლებელთა მოსაზრებით, შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზის იდენტიფიცირება პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა სკოლაში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად იკითხება სკოლის ინტერვენციების განხორციელების მზაობა. 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყო სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტი შექმნა.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი;
- შეფასების-თვითშეფასების რუბრიკები-მათემატიკის კათედრა;
- მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარების გეგმა;
- 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ჰოლისტურია. გამოყენებულია შენდეგი სახის შეფასების წყაროები: სკოლის საჭიროების შესწავლა, ანკეტირება, დიაგნოსტიკური ტესტირება და სხვა.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში შეფასების დროს გათვალისწინებულია სხვადასხვა კონტექსტი (ინფრასტრუქტურა, გარემო, უსაფრთხოება, მდა სხვა). სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტში ვკითხულობთ სკოლის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებში: ციტატა “ 1. ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; 3. არაფორმლური განათლების გაძლიერება; 4. სასკოლო კულტურის შენარჩუნება-განვითარება; 5. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის, სოციალური უნარებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარება”.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. მონაცემთა შეგროვების მეთოდები მრავალფეროვანია: ფოკუს ჯგუფების გამოკითხვა, ანკეტირება, დიაგნოსტირება

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტსა და 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასების ნაწილში გათვალისწინებულია მრავალი ფაქტორი (სკოლის რეპუტაცია , სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის კომუნიკაცია და ა.შ. დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვისა და რევიზიას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები ატარებენ სამუშაო შეხვედრებს, რათა შეიმუშაონ იმ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში დანერგავენ.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.მასწავლებლებმა და კათედრის თავმჯდომარეებმა აღნიშნეს, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობისა და ვალიდობის მონაცემები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ხოლო კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საშუალო საფეხური

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2 - საშუალო საფეხური	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4	☐ **შეესაბამება**

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ-კონცეპტუალური ნაწილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, დაკვეთის გათვალისწინებით განსაზღვრავს: სკოლის ფილოსოფიას, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესი მოიაზრებს საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენას, კოლეგებთან ერთად განხილვას, უკუკავშირს, გასული წლების გამოცდილების გაზიარებასა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას,ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვას, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლას აქვს საერთო, გაზიარებული ღრუბლოვანი სივრცე, სადაც ხდება იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიებისა და უკუკავშირის თავმოყრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში სასკოლო თემი და მისი საზოგადოებრივი ცხოვრება მთავარი ორიენტირია. საგნის მასწავლებლების, დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის ანგარიშები, რეფლექსიები, მიგნებები, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა, საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმი, არაფორმალური განათლების პრევენციული ხედვა და სასწავლო პროცესის ანალიზი სკოლისთვის სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შემუშავების საშუალებაა. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

სკოლის მიერ სასწავლო კურიკულუმზე მუშაობის პროცესი წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტზე გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა სკოლის კურიკულუმის შექმნაში. მასწავლებლების მიერ წინა სასწავლო წლის შედეგების გაანალიზებისას დაფიქსირებული გამოწვევები, მშობელთა კრებებზე გამოკვეთილი საჭიროებები განხილული და გათვალისწინებულია პედაგოგიური საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი წარედგინება შესათანხმებლად სკოლის სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინფორმაციის გაზიარებისათვის სკოლა იყენებს პირისპირ შეხვედრებსა და ელექტრონულ საშუალებებს(Microsoft 365, Mail, Teams, Forms, OneDrive; Zoom, Gmail , Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი).

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბრძანება N2-15, მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცება;
- მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის გეგმა; ხარისხის განვითარებისა და პროფ. მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი N1;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- პედსაბჭოს ოქმი N4
- მშობელთა კრების ოქმები.

1.1.4. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საბუნებისმეტყველო

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმი/ები არის სწავლა-სწავლების პროცესზე ორიენტირებული გზა ეფუძნება მე-3 თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და მათში ასახულია სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტირები - მოსწავლის მოტივაციის გაზრდა, სიღრმისეული სწავლა და მოსწავლის ჩართულობა.

საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს კომპლექსური დავალების ფარგლებში მრავალჯერადი გამოყენების რესურსების შექმნის გამოცდილება.

მე-10 კლასის კურიკულუმებში:

- ქიმიის საგანში თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნებაა ასახული;
- ბიოლოგიის საგანში თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება არაა ასახული;
- ფიზიკის საგანში მე-10 კლასის კურიკულუმში II თემის სამიზნე ცნებები არასწორადაა შევსებული.

საშუალო საფეხურის კურიკულუმები სამუშაო ვერსიებია და ხარვეზები გამოსწორებადია ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

1.სახელმწიფო კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმი შედგენილია ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპის საფუძველზე.სახელმძღვანელოზე დაყრდნობით შერჩეულია სავალდებულო მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ მათი თანადროული ეპოქების სპეციფიკას, მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ შეხედულებებს. წარმოდგენილ მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს,საკითხთა მრავალფეროვნებას, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კონტექსტ-მაგალითებად შეარჩიეს ისეთი მხატვრული თუ არამხატვრული ნაწარმოებები,რომლებიც იწვევს მაღალ ინტერესს ან რაღაც ნიშნით არის მამოტივირებელი, სასურველია,მომავალი სასწავლო წლიდან მეტი ყურადღება მიაქციონ თემასთან შესაბამისი რესურსების შერჩევას.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

ფუნქციონირებს მისი შექმნილი რობოტიქსის კლუბი.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

1. მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო

1.მოსწავლეზე ორიენტირებული სამუშაო პროცესი იკვეთება მე-10 კლასში საგნებში: ისტორია და მოქალაქეობაში, რომელთა კურიკულუმები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას, მაგ: ისტორიის კურიკულუმში ყველა სავალდებულო თემაში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები - „კომიქსის შექმნა პრეისტორიული ეპოქის შესახებ"; „მოხსენების მომზადება აქემენიანთა სპარსეთის იმპერიის ჩამოყალიბების შესახებ"; მე-10 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში წარმოდგენილია გეოგრაფიის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავადებულო თემა და ნათლად ჩანს თუ რომელი საკითხებს ამუშავებს და რომელი რესურსებით. მე-10 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოს არცერთ სავალდებულო თემაში <u>არ ჩანს</u> მასწავლებლის მიერ შერჩეული საკითხებით, რომელი გრძელვადიანი მიზნები მუშავდება.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ის მხარეები, რომლებზეც მასწავლებლები კურიკულუმის დახვეწის პროცესში იმუშავებენ: კურიკულუმის ყველა სავალდებულო თემაში მე და საზოგადების სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება დამუშავდება (მაგ: მე-3 კლასი სავალდებულო თემებში „ჩემი ოჯახი" და „გარემო, რომელშიც ვცხოვრობ", სავალდებულო თემა ,,კავკასიიდან" და ,,სამხრეთი საქართველოს" გრძელვადიანი მიზნებიდან ამოღებული იქნება სამიზნე ცნება - ,, გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი", რადგან ის საგნობრივი სამიზნე ცნება არ არის და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მაკროცნებას წარმოადგენს და ა.შ.).

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

1. შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე.

ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

1.უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის რუსული და ინგლისური ენების კურიკულუმები მეტწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ ინგლისური ენის მე-10 და მე-12 კლასების, რუსული ენის მე-12 კლასის კურიკულუმები, სასწავლო შინაარსთან ერთად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, წინარე ცოდნას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. კურიკულუმების დაგეგმვაში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე. წარმოდგენილია მე-10 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალების მოსწავლის ნამუშევრის დამადასტურებელი მასალა, რომელიც საშუალებას იძლევა დასკვნა გავაკეთოთ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ასევე გაირკვა, რომ ინგლისური ენის მე-11 კლასის და რუსული ენის მე-10 და მე-11 კლასების კურიკულუმის ჩარჩოები ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი იმ მიზეზით, რომ არსებული სახელმძღვანელოები, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, იცვლება ახალი, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

1. საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინაროებს სავალდებულო პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, თუმცა <u>მტკიცებულებების სახით არ აქვს წარმოდგენილი</u>. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2022-2023 წელს სასწავლო პროექტი ხორციელდება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მეათე კლასში. პროექტის მიზანი და შინაარსი ორიენტირებული იყო მოსწავლის ცხოვრებისეულ კონტექსტებსა და პირად გამოცდილებაზე. სკოლამ კულტურული მემკვიდრეობის ფარგლებში შეარჩია საკუთარი სკოლის ნაგებობის ისტორიის შესწავლა.

ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო

2.საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია შემდეგი ველები: სავალდებულო თემები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნება და ქვეცნებები, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) უნარის გააქტიურებას, წახალისებას და გაცნობიერებას.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა

.2.საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებების შესრულება, პრეზენტაცია,რეფერატი,ნარკვევი,მემუარი, რაც თავისთავად იძლევა საშუალებას მოსწავლეს სასწავლო პროცესში განუვითარდეს გლობალურ-ფუნქციური უნარები, გამოიყენოს დასწავლის სხვადასხვა სტრატეგია, შერჩეული ტექსტები, კონტექსტ-მაგალითები უკავშირდება მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და კულტურული ცნობიერების ამაღლებას.მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას,რომ თემასთან და შესასწავლ საკითხთან მიმართებით მიზნობრივად შეირჩეს ისეთი რესურსები,რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება ფუნქციური კომპეტენციების განვითარებაში.

ინდიკატორი 2.1.2.2.დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

2. მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კომპლექსური დავალებების(მაგ. „საწვავის ფასის ცვლილების კვლევა“ მეათე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მე და საზოგადოება; ჩვენი საქართველო

2. მე-10 კლასის ისტორიის, მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია ისტორიისა და მოქალაქეობის სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რაც მკაფიოდ წარმოაჩენს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ საშუალო საფეხურზე ზემოთ აღნიშნული საგნების ფარგლებში. გეოგრაფიის კურიკულუმში ჩანს სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, მასწავლებლის მიერ შერჩეული საკითხები და საჭირო რესურსები. საშუალო საფეხურის მე-10 კლასის კურიკულუმები ასახავს გზას, თუ როგორ მიდიან გრძელვადიან მიზნებამდე, გლობალურ ფუნქციური უნარების განსავითარებლად.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურეობრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, აგრეთვე კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვეტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები, რაც წარმოადგენს ე.ს.გ.-ს გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობას.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ უცხოური ენების საშუალო საფეხურის (X-XII კლასები) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებს და მაკრო ცნებებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები კორეალაციაშია გრძელვადიან მიზნებთან.

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროექტებში, მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. მოსწავლეთა მუშაობის შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრის წევრები აკეთებენ დასკვნებს, რომლის შედეგებსაც ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

1. მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. 2022-2023 სასწავლო წელს კათედრას პროექტი არჩეული ჰქონდა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2022-2023 წელს სასწავლო პროექტი ხორციელდება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მეათე კლასში. პროექტი მასწავლებელმა განახორციელა გრიფირებული სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, სადაც დეტალურადაა გაწერილი სასწავლო მიზნები, მსჯელობისას მასწავლებელმა პროექტი დაუკავშირა სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ამასთან ისაუბრა იმ აქტივობებზე , რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას (მაგ. თანამშრომლობა, მოქალაქეობა და სხვ.)

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

ბუნებისმეტყველება

3.საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრაზე მე-2 სემესტრისა და წლიური შედეგების დამუშავების, მასწავლებელთა ანგარიშებისა და თვითრეფლექსიის გაცნობით, მოსწავლეთა და მშობელთა მოსაზრებების გათვალისწინებით მოხდება შედეგების ანალიზი, დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები აისახება კურიკულუმში და საგნობრივი სასწავლო გეგმა მიიღებს სრულყოფილ სახეს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

3. მოსწავლეებისათვის შექმნილია თავისუფალი გარემო,რომელშიც მოსწავლეებს საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად,მათი ინტერესებიდან გამომდინარე, განიხილავენ ფილმებს,მხატვრულ ლიტერატურას,მსჯელობენ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომას,მე-12 კლასის მოსწავლისათვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,აღწერილია მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე,მოლოდინები, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები (ზეპირმეტყველება,კითხვა,წერა)შერჩეულია რესურსები,სავარაუდო აქტივობები.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

3 დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. მასწავლებლები მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესასწავლად იყენებენ შემდეგ ინსტრუმენტებს: დაკვირვება, დიაგნოსტიკური წერები, სპეცმასწავლებლის, მშობლის კონსულტაცია, დამრიგებლის დახასიათება, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკის ჩართულობა. სკოლას ჰყავს სპეც მასწავლებელი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, სოცმუშაკი. აქვს სპეციალური სივრცე სსსმ მოსწავლეების დამატებითი აქტივობებისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. მასწავლებლები, საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას, ისაუბრეს თანამშრომლობით კულტურაზე, რომელიც მათთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს დიფერენცირებული სასწავლო პროცესის დანერგვის კუთხით.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

3. სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კურიკულუმსა და კომპლექსურ დავალებებში. ეს კი მომავალში განაპირობებს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ საშუალო საფეხურზე (XII კლ.) სწავლობს ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება მოსწავლის ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი აქტიური თანამშრომლობა ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უცხოური- რუსული და ინგლისური ენებისთვის (მე-12 კლასი) ასახავს დიფერენცირებული მიდგომებისა და რესურსების გამოყენებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, მოდიფიცირება გაუკეთონ აქტივობებსა და დავალებებს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რათა მოსწავლემ შეძლოს გამოავლინოს და განავითაროს საკუთარი სასწავლო და პიროვნული პოტენციალი. დოკუმენტებში იკვეთება დიაგნოსტიკური შეფასება - მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მათი ანალიზი; მოსწავლის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა. კერძოდ, სად იყო მოსწავლე და სად მივიდა კონკრეტული ინტერევენციების პროცესში.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა

3.საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი, კათედრასთან ინტერვიუს დროს ნათლად დადასტურდა სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ბუნებისმეტყველება

4.საშუალო საფეხურზე სწავლების პროცესის შეფასება, ცოდნის თვითშეფასებისა და მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად განაპირობებს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

4 გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესში მეტად იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმებს,შეფასების შედეგებს საშუალო საფეხურზე ხშირად განიხილავენ დირექციასთან,პერიოდულად აკეთებენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს.იგეგმება შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დამუშავება კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით, სამიზნე ცნებების გათვალისწინებით .**ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა

4.საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალება. კომპლექსური დავალების პირობა მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ.განმავითარებელი შეფასება

მოხერხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს. მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალის გაცნობისას იკვეთება, რომ კათედრა ძირითადად იყენებს პედაგოგთა მიერ შექმნილ რუბრიკებს.

როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება ხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთშეფასების გზით.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4ავტორიზაციის პროცესში წარმოდგენილი შეფასების ამსახველი მასალით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში იყენებენ ზოგადი ფორმატის შეფასების რუბრიკას, განმავითარებელი შეფასებაში იყენებენ როგორც ვერბალურ, ასევე წერილობით ფორმას , მათ შორის SOLO-ტაქსონომიას.
ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა
4. კურიკულუმებში გაწერილი თემებსა და დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე დართული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მრავალმხრივია და ვალიდურია. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, სპორტის გაკვეთილისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები
4 უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები უჩვენებს, რომ მოსწავლეთა სწავლება და შეფასება ერთიანი პროცესია. შეფასება ხდება მკაფიო, გრძელვადიან მიზნებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასება წარმოადგენს სწავლის პროცესის გაუმჯობესების საშუალებას, ფასდება როგორც უშუალოდ სწავლის პროცესი, ისე მოსწავლეების მიღწევები. უცხოური ენების კათედრას შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. შეფასების ეს ფორმა ძირითადად ხორციელდება თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს.

განმავითარებელი შეფასებისთვის კათედრის წევრები იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (რუბრიკები, დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ.) ინდიკატორთან მიმართებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია .

ესთეტიკური აღზრდა

4. საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტი ფასდება განმავითარებელი შეფასებით. სკოლა პროექტის განხორციელებისას ხელმძღვანელობდა საშუალო საფეხურზე გრიფირებული სახელმძღვანელოთი, სადაც დეტალურადაა გაწერილი პროექტის სასწავლო მიზნებთან მიმართებით სოლო ტაქსონომიის შეფასების რუბრიკა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ძირითადად იყენებდნენ მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას და პროექტის ფარგლებში განხორციელებული შემოქმედებითი პროდუქტების შეფასებისას სოლო ტაქსონომიის რუბრიკას.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ბუნებისმეტყველება

5.საშუალო საფეხურზე გაკვეთილის დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა:

- სასწავლო პროცესის შეფასებას;
- სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის უკუკავშირს;
- მოსწავლეთა თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას.

კომპლექსური დავალებების შემუშავებისას კვლავ გაითვალისწინებენ პროდუქტად მრავალჯერადი გამოყენების რესურსის შექმნას.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

5. სასკოლო სასწავლო გეგმის (სასკოლო კურიკულუმის) და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. საშუალო საფეხურისათვის შექმნილია ახალი სტანდარტი.წინარე გამოცდილებამ ხელი შეუწყო სტანდარტის შესაბამისად ახალი კურიკულუმის დაგეგმვასა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებას

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

5. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა კათედრაზე არსებული გამოცდილება, კერძოდ, მასწავლებლის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (საგნის მასწავლებლების, კათედრის ანგარიშები). სკოლაში არის პრაქტიკა დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ერთობლივად განხილვისა, რომლის დროსაც ხდება მიღწევების გაზიარება და პრობლემების გამოკვეთა (მაგ. მეათე კლასი კომპლექსური დავალება“ საწვავის ფასის ცვლილების კვლევა“).

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5.მასწავლებლებმა მე-10 კლასის შემთხვევაშიც ისაუბრეს სასწავლო პროცესზე- კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურისაკენ, გადაწყვეტილება ეყრდნობა წინა წლებში, წარმატებით დანერგილი დავალებებსა და მიღებულ პრაქტიკულ გამოცდილებას. აქტიურად საუბრობენ იმ სავარაუდო ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელებული იქნება სწავლა-სწავლების პროცესში გამოწვევების პარალელურად.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილ კომპლექსური დავალებები მრავალმხრივია. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, სპორტის გაკვეთილისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იყოს წინარე გამოცდილება

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

5. უცხოური ენების კათედრის სხდომის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოწმობს, რომ ინგლისური და რუსული ენის საშუალო საფეხურის (X-XII) კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, ისევე როგორც, უცხოური ენების კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ თვითრეფლექსიას, გასცემენ და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

5. საშუალო საფეხური : კათედრამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სავალდებულო პროექტის შერჩევისას პრიორიტეტი მიანიჭა საკუთარი სკოლის ნაგებობისა და ისტორიის კვლევას კულტურული მემკვიდრეობის ჭრილში. ივარაუდეს, რომ მოსწავლეებისთვის აღნიშნული პროექტი ბევრად საინტერესო იქნებოდა, რადგან მათ ცხოვრებისეულ კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართებოდა. ამასთან, გაითვალისწინეს მოსწავლეების წინარე ცოდნა და მოახდინეს სასწავლო მიზნების მოდიფიცირება.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-30 წწ სტრატეგიული გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის სასწავლო გეგმა;
- 2023-24 წწ. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი,(საფეხურების მიხედვით)
- საბუნებისმეტყველო კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიში;
- კურიკულუმი/ები;
- მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა; ზოგადი შეფასების რუბრიკები
- ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი N1
- გაკვეთილის გეგმა-რეფლექსიები;
- 74-ე სკოლის 2023-2024 ციფრული განვითარების გეგმა;
- საგნის სასწავლო გეგმები ;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- სსიპ -თბილისის N 74 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შეფასება:.
- სკოლის მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ჩატარებული სამონიტორინგო მუშაობის ანგარიში;
- საგნობრივი ოქმები უცხო ენებისთვის;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.4 კურიკულუმის განხორციელება

1.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ბუნებისმეტყველება

1.საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის შედეგად, მოსწავლე ახდენდა როგორც კვლევის პროცესის წარმართვას, ასევე კვლევითი ნაშრომის წარმოჩენას. კლუბური მუშაობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები (სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „ეკომეგობრები“), არაფორმალური აქტივობები მოსწავლეებს მისცემს შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

1.სრულყოფილად არის წარმოდგენილი მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩო საინტერესო და მრავალფეროვანი კომპლექსური დავალების იდეებით,მიზნობრივადაა შერჩეული რესურსები,აუდიო-ვიდეო ჩანაწერები,მე-10 კლასში წარმოდგენილია განხორციელებული კომპლექსური დავალება. ზეპირი პრეზენტაცია, ტექსტი- კოლაუ ნადირაძის ,,1921.25 თებერვალი“,მოსწავლეებმა კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნეს powerpoint -ის საპრეზენტაციო სისტემის გამოყენებით ელექტრონული რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

1. **საშუალო საფეხური** - ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. როგორც ინტერვიუირებისას გამოიკვეთა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს მრავალფეროვანი ინტერაქტიული აქტივობების შესრულება უწევთ. როგორიცაა: სასწავლო პროექტები, დისკუსიები, ცხრილები, დიაგრამები, მოდელირება, კვლევა,ექსპერიმენტი და სხვა. ეს აქტივობები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1.: კურიკულუმებში წარმოჩენილი კომპლექსური დავალებების იდეები „კომიქსის შექმნა პრეისტორიული ეპოქის შესახებ“ , „სტატიის მომზადება ბერძნულ პოლისებში მმართველობის ფორმების შესახებ და ბერძნულ-სპარსული ცივილიზაციების დაპირისპირების შესახებ“ მოსწავალეს უბიძგებს ფიქრისკენ, სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობისაკენ. ინტერვიუს დროს მოქალაქეობის მასწავლებელმა ისაუბრა განხორციელებულ პროექტზე „ ვიზრუნოთ ჩვენი სკოლის გარემოზე“.განიხილა მე-10 კლასის ჯგუფური პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

1.საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ასევე, დაწყებით კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა კლასის მოსწავლეები.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

1 დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ საშუალო საფეხურზე (X-XII) სასწავლო პროცესის ორგანიზება იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები მიმართულია მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაციისკენ, მოსწავლე თავად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით.
დავალებები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, რაც გაუადვილებს მოსწავლეს სამიზნე ცნებების გააზრებას, სწავლის პროცესში მოსწავლე თანამშრომლობს თანატოლებთან, შეფასება ხდება მრავალფეროვანი ფორმით, იგი იღებს და თავადაც გასცემს უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

1.სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ აქვს წარმოდგენილი, ასევე არ აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები, თუმცა კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობიდან გაირკვა ,რომ მოსწავლეები სავალდებულო პროექტის ფარგლებში კვლევას ახორციელებდნენ საკუთარი სკოლის შენობის შესახებ (შენობა არის ისტორიული მნიშვნელობის). ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობაში, (სასკოლო საზოგადოების/თემის გამოკითხვა, ფოტო მასალა, ჩანახატები და სხვ) მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას მოტივაციის გაზრდას ასევე უზრუნველყოფდა პროექტის თემატიკა და აქტუალობა.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ბუნებისმეტყველება

2.საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები და არაფორმალური აქტივობები კლუბური მუშობის სახით არის წინაპირობა იმისა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს და სწავლა-სწავლების პროცესი გახდეს ეფექტური.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

2. სასწავლო პროგრამები(კურიკულუმები) ითვალისწინებს ცოდნის კონსტრუირებას, ძველზე ახლის დაშენების პრინციპს, როგორც შინაარსობრივად, ისე მეთოდურად. მასწავლებელთა განმარტებით, მომავალი სასწავლო წლისათვის შერჩეული კომპლექსური დავალებების ხასიათიც მიმართულია არსებული გამოცდილებიდან ნაბიჯ-ნაბიჯ ახლის დაუფლებისაკენ, რაც საშუალო საფეხურზე არ გამოყენებულა ყველა კლასში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

2. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კომპლექსური დავალებებში პირობას მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს და ნაცნობი საკითხის მეშვეობით შეძლებენ დავალებაში არსებული პრობლემის გადაჭრას. სკოლა გეგმავს ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების შექმნასა და განხორციელებას, რაც გააძლიერებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას და ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2.საშუალო საფეხური - ისტორიის, მოქალაქეობის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლისათვის გასაგებად არის ჩამოყალიბებული, პირობები საინტერესო სიტუაციებზეა აგებული და კურიკულუმში ასახული ურთიერთმიმართებები წარმოაჩენს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

2.ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მიერ კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებისას გათვალისწინებულია ის რომ , წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოხდება ახალი ცოდნის დაშენება.

დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

2 უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სამიზნე ცნებები მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობ თემატურ კონტექსტებში, რომლებიც დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, მოსწავლისთვის შეთავაზებული კარგად

ნაცნობი თემატიკა, ხელს შეუწყობს მოტივაციის გაზრდას, მისი შინაგანი ძალების გაქტიურებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი, ახლი ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება და გამოყენება. ამ მიზნებს ემსახურება მასწავლებლების მიერ მოსწავლეების სასკოლო პროექტებში ჩართვა. კერძოდ, პროექტი: სასკოლო პროექტი "განათლება დემოკრატიისთვის", რომელშიც ჩართულები იყვნენ საშუალო საფეხურის მოსწავლეები.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

2. სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ აქვს წარმოდგენილი. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროექტის სასწავლო მიზნების განსაზღვრისას მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა წინარე ცოდნა. ცოდნის კონსტრუირება ხდებოდა წინარე ცოდნის გააქტიურებითა და ახალი ცოდნის გადაცემით სამიზნე ცნებებთან, საგნობრივ საკითხებთან/კონტექსტებთან დაკავშირებით

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ბუნებისმეტყველება

3.საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში 2022-2023 სასწავლო წლის კომპლექსური დავალებები და მომავალი 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები მიმართულია მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. კომპლექსური დავალების პირობის მე-3 ნაწილი - მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში გამოკვეთს მოსწავლისგან მისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა

3.საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით ხდება სისტემური ცოდნის კონსტრუირება მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან , იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობასა და წარმატებას . მასწავლებელთა აზრით, სასწავლო პროცესის,პროექტული სწავლებისა და არაფორმალური აქტივობების დროს მნიშვნელოვანია,როგორ განუვითარებენ მოსწავლეებს მეტაკოგნიტურ უნარებს.**ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა

3. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას . მეტაკოგნიციაზე აქცენტი კარგად იკვეთება მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებში (მეათე კლასი „საწვავის ფასის ცვლილების კვლევა“)მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას და წარმატებას.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3 . გეოგრაფიის, მოქალაქეობის, ისტორიის კურიკულუმების ჩარჩოებით დასტურდება,რომ მოსწავალეებს ეძლევათ საშუალება დაეუფლონ სწავლის სწავლას, რადგან შემოქმედებითი პროდუქტები (დღიური, სტატია, წერილი, ჩანაწერი და ა.შ.) ,რომლებსაც მოსწავლეები შექმნიან დავალებაზე მუშაობის პროცესში, საშუალებას მისცემთ განივითარონ, დამოუკიდებლად, სწავლის სტრატეგიები.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

3. საშუალო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა სწავლის სწავლას, მოსწავლის გამჭოლი უნარების განვითარებას , კერძოდ, პერსონალურ, სოციალურ და სწავლის- სწავლის კომპეტენციას. კომპლექსური ბუნების დავალებები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლემ თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი; ამის გარდა, წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომლებიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. კათედრას წარმოდგენილი აქვს საშუალო საფეხურზე, მე-10 კლასში, ინგლისურ ენაში განხორციელებული კომპლექსური დავალების მოსწავლის მიერ შესრულებული ნიმუში, კომპლექსური დავალების ბარათი და სხვა მასალა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

3. სკოლის საჭიროების კვლევის ანალიზში, კათედრების გამოკითხვების შედეგებში სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით არის ჩანაწერი - „კათედრებზე უმეტესად განხილულია სწავლა/სწავლების თანამედროვე სტრატეგიები; ნაწილობრივადაა დანერგილი ახალი სტრატეგიები“; საკუთარი სკოლის შენობის კვლევისას, რომელიც წარმოადგენს ისტორიულ ნაგებობას მოსწავლეებს მოუწიათ კვლევის დაგეგმვა, მიღებული მონაცემების ანალიზი, რაც თავისთავად, გულისხმობს სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა აღნიშნული მსჯელობა. იმის გათვალისწინებითაც, რომ სკოლა თვითრეფლექსიისას აანალიზებს სწავლა-სწავლების პროცესში მრავალფეროვანი, თანამედროვე სწავლების სტრატეგიების აუცილებლობას და აქვს ამის უზრუნველყოფის ხედვა შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში საშუალო საფეხურზე აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული

ბუნებისმეტყველება

4.საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების 2022-2023 სასწავლო წლის კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს, რომ მოსწავლე ,სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ინფორმაციის გარდა, სარგებლობს დამატებითი წყაროებით. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს შემდეგი ნაბიჯები და შედეგი წარმოადგინოს პროდუქტის სახით.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა

4. მიმდინარე სასწავლო წელს მე-10 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალებები ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებს გადაწყვეტილი აქვთ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების განხორციელება ახალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

4. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს, რომლის საშუალებით ადასტურებს საკუთარ მიღწევებს საგნობრივ საკითხთან მიმართებით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში.შესაბამისად, მოსწავლე ახდენს სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებას და არა მის ზედაპირულ დასწავლას.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. მე-10 კლასის კურიკულუმებზე, მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ კომპლექსური დავალებების დამუშავება ხელს შეუწყობს პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენებას, სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა

4. საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4 **საშუალო საფეხური** - უცხოური კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ პროგრამებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. მასალებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. მათ შეუძლიათ დასვან და მიიღონ პასუხი შეკითხვებზე მასალასთან დაკავშირებით (დეკლარაციული ცოდნა). გარდა ამისა, მოსწავლეებს შემუშავებული აქვთ მოქმედების წესები და შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, გამომუშავებული აქვთ გარკვეული უნარები (პროცედურული ცოდნა). მოსწავლეების ჩართვა სასკოლო პროექტში "განათლება დემოკრატიისთვის", რომელშიც ჩართული იყვნენ საშუალო საფეხურის მოსწავლეები, და მათი კომპლექსური ბუნების დავალებებით უზრუნველყოფა განაპირობებს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

4. სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ აქვს წარმოდგენილი. ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მსჯელობიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებმა სასწავლო მიზნები ჩამოაყალიბეს საბაზო საფეხურის შედეგებთან მიმართებით და პროექტით განსაზღვრული სამიზნე ცნებების ცოდნის კონსტრუირებისთვის იყენებდნენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილ აქტივობებსა და სასწავლო მეთოდებს.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ბუნებისმეტყველება

5.საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომპლექსური ტიპის დავალებები. შესრულებული კომპლექსური ტიპის დავალებები ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე. ყველა თანამდევი აქტივობა კი ცოდნას ინსტრუმენტად გარდაქმნის.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა

5. საშუალო საფეხური - ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებულად წარმოდგენის კუთხით, შეიძლება ვიმსჯელოთ მე-10 კლასის კურიკულუმისა და განხორციელებული კომპლექსური დავალების საფუძველზე.გასაუბრებისას მასწავლებლებმა იმსჯელეს,რამდენად ეხმარება მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

5. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს სხვადასხვა კომპონენტების ურთიერთდაკავშირებულად, ინტერაქტიურად გამოყენება ცხოვრებისეულ სიტუაციაში. სასწავლო პროცესის დანახვა საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით ზოგადად ხერხდება, შესაბამისად, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია .

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5.წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები (მაგ: „ ვიდეორგოლი/ბროშურა გლობალურ მოქალაქეობის არსზე და როგორი გავლენაა განსხვავებული კულტურების მშვიდობიან თანაცხოვრებაზე“; „სტატიის მომზადება რომის ისტორიის შესახებ,სადაც გამოკვეთ პერიოდიზაციის საკითხს წყაროებზე დაყრდნობით“) ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, გამოწვევებთან გამკლავებასა და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე, რაც მოსწავლეს დაეხმარება ცოდნის გამთლიანებასა და ურთიერთდაკავშირებაში.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა

5.. სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მეტწილად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები

5 დოკუმენტაციის საფუძველზე ვლინდება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც დასტურდება საშუალო საფეხურის კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებითა და პროექტული ტიპის აქტივობებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებასა და ახალი პროდუქტის შექმნაზე. ეს ყოველივე ააქტიურებს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტურ უნარს, რომლებიც მას საშუალებას აძლევს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, მოსწავლე აყალიბებს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, იღებს და აღიარებს სხვის განსხვავებულ მოსაზრებას, ითვალისწინებს სხვათა გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა უზრუნველყოფს მოსწავლის ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა

5. სასწავლო პროექტი ისე იყო დაგეგმილი, რომ მოსწავლეებს უწევდათ თემის ფარგლებში საკითხების გრძელვადიანი სასწავლო მიზნების გააზრება სხვადასხვა კონტექსტებში (ისტორიული, კულტურული), რაც გულისხმობს სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ცოდნის ორგანიზებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

კურიკულუმებით და გასაუბრებით სამივე საფეხრზე დასტურდება სტანდარტით გათვალისწინებული ინდიკატორთან შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნის კურიკულუმი/ები;
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- სასკოლო პროექტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3 შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4 შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5 სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6 სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ბუნებისმეტყველება

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ ახალ საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანს სამიზნე ცნებებისა და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება.

ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა

1.მიუხედავად იმისა,რომ სახელმწიფო ენის კათედრის წევრებს აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება,მასწავლებლები ფიქრობენ,რომ უნდა გაიზარდოს კომპლექსური დავალებების განხორციელების სიხშირე, სკოლას უკვე შექმნილი აქვს საგნობრივი ჩარჩო-კურიკულუმები, რომლებშიც ნაწილობრივაა გაწერილი კომპლექსური დავალებები; ახალი სასწავლო წლისათვის იგეგმება კურიკულუმების სრულყოფა.

ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხზე დაყრდნობით, მით უფრო, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება პროცესის სწორი ხედვა.

ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1 მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს მთავარი ორინეტირები- სამიზნე ცნებები, მათი დაზუსტების საშულებას მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა, დავალებები მოიცავს მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც შეფასების კრიტერიუმებია, ასევე კურიკულუმებში სამიზნე ცნების დონეზე ჩანს იერარქია- ქვეცნება.

ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა

1. კურიკულუმში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში.

ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები

1. მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგებიდან და უცხოური ენების კათედრის მასალებიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ საშუალო საფეხურზე (X-XII), კათედრის მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალებები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებებისა და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლეების მიერ გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომებით ხორციელდება. კათედრის მიერ შემუშავებულ კომპლექსური ბუნების დავალებებსა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის.

ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა

1.პროექტის განხორციელებისას მასწავლებლები უზრუნველყოფდნენ სამიზნე ცნებებისა და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას საგნობრივ საკითხებთან მიმართებით. მოსწავლეებმა შეისწავლეს სკოლის ნაგებობის არქიტექტურული დაგეგმარება, დააკავშირეს კულტურულ, ისტორიულ კონტექსტებთან. ჩაატარეს სასკოლო თემის გამოკითხვა და კვლევა.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ბუნებისმეტყველება

საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო დისციპლინების მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მიმართულია მოსწავლის პიროვნული ზრდა-განვითარებისკენ. თანამშრომლობითი სწავლება არის ხელშემწყობი ფაქტორი ამ მიმართულებით. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა

მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში. არაფორმალური განათლების აქტივობების ფოკუსირება ხდება დროის მართვის უნარის, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაზე;

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

2.წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ პედაგოგთა მიერ განხილული სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუს საფუძველზე კათედრისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება მათი პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

ფიზიკური აღზრდა

2. სკოლაში სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდი, სპორტული თემატიკაზე შექმნილი ფილმები, კურიკულმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები

საშუალო საფეხური

2 საშუალო საფეხურის უცხოური (ინგლისური და რუსული X-XII) ენების ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას . წარმოდგენილ რუსული და ინგლისური ენის კურიკულუმებში თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითარება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა, პასუხისმგებლობა და ხელს უწყობს ამ ცოდნისა თუ უნარების განვითარებას მოსწავლეებში. ეს ჩანს მოსწავლეების დავალებაში, შეფასების რუბრიკებსა და ანალიზებში.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა

2პროექტის განხორციელებისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული პოექტი მიმართული იყო არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. თავად სასკოლო პროექტის თემატიკა და შინაარსი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკუთარი სკოლის კვლევა, კულტურული მემკვიდრეობის შინაარსის გააზრება მოსწავლეს უყალიბებს იდენტობას.
ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ბუნებისმეტყველება

საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო დისციპლინების მასწავლებლებლებს აქვთ პრაქტიკა ახალი ფორმატით დიაგნოსტიკური შეფასების. ასევე იციან განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნის უახლესი პრინციპები. 2023-2024 სასწავლო წლისათვის საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა

3.სკოლის სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მასწავლებელი საგნობრივი სტანდარტიის დაფარვასთან ერთად უსაზღვრავს სასწავლო ამოცანებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, გამჭოლ კომპეტენციებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მასწავლებელს ევალება განსაზღვროს, რას ელის მოსწავლისგან, გამოიწვიოს მოსწავლეში მაღალი მოლოდინები. ხელი შეუწყოს, მოსწავლემ თავად ააგოს საკუთარი ცოდნა და შეაფასოს იგი.
ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა

3..მასწავლებელთა მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის, მნიშვნელობა.
ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. კათედრის წევრებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ მასწავლებლებს ესმით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავების მეთოდური ორიენტირები. დაგეგმილი აქვთ ,საგნობრივი კურიკულუმიდან გამომდინარე, შექმნან შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის გამოყენება და დანერგვა მომდევნო სასწავლო წლისათვის- განმავითარებელი შეფასების ანალიზის საფუძველზე.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ფიზიკური აღზრდა

3 ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა არის ჰოლისტური ხასიათის და მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების საჭირეობისამებრ გამოყენება და საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რომლებსაც იყენებენ მასწავლებლები დაეხმარება მოსწავლეებს ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრები წესის პრინციპების გაცნობიერებაში.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები

3. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტრურებს, რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. საშუალო საფეხურის კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ ,მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავისა და თანატოლების შეფასება: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2022-2023 წლის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში. სასწავლო პროექტი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებებს, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს არ გამოუყენებიათ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. განმავითარებელი უკუკავშირითა და წამახალისებელი კომენტარებით უზრუნველყოფდნენ მოსწავლეების ჩართულობასა და სამუშაო პროცესში თვითრეფლექსიას, ცდილობდნენ პროცესის ხელშეწყობას, რათა მოსწავლეებს გამოევლინათ ძლიერი მხარეები. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4..მასწავლებელთა მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. გამოწვევად რჩება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნა და განხორციელება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების დიზაინი/გეგმა, პროცესის აღწერა, შედეგების ანალიზი.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სკოლის კათედრების წევრებთან გასაუბრების დროს აღწერილი ფაქტი - კომპლექსური დავალების დროს მოსწავლეების მიერ შექმნილი კომიქსების გამოფენის მოწყობა დაწყებით საფეხურზე.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასახულია ,რომ „მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში"(შესაბამისად, პირად საქმეში შეტანილი წლიური შეფასებები, ცნობები და ასე შემდეგ). განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნის კურიკულუმი/ები;
- შეფასების-რუბრიკები.pdf
- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი.pdf
- დებულებები-წესები.zip/ბრძანება2-16,15.02.21პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.pdf
- შეფასების რუბრიკები/გაწერილი კრიტერიუმები
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი
- სკოლის სასწავლო გეგმა 2022-2023

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1 სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2 სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

საშუალო საფეხური

1.კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს იკვეთებოდა წევრებს შორის თანამშრომლობითი მხარდაჭერა. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი და წარმოდგენილია საქმიანობის ანგარიში, თვითმმართველობის 2022-2023 წლის აქტივობები, თვითმმართველობის სხდომის ოქმები. კლასის დონეზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის მოსწავლის მხარდამჭერი შეფასების-თვითშეფასების რუბრიკები , რომლებიც შექმნილია კათედრის მიერ. მაგალითად, გამოყენებულია შეფასების კრიტერიუმი - სხვისი აზრების მოსმენა და პატივისცემა.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. წარმოდგენილ სასწავლო პროგრამებში მოცემულია მოსწავლის აქტიური ჩართვის შესაძლებლობები. კომპლექსური დავალებების იდეაში საკვანძო კითხვებში, შედეგების ინდიკატორებში ნათლად ჩანს მოსწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგია.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სკოლისა და კათედრის ორგანიზაციული კულტურა კარგად იყო წარმოჩენილი სკოლაში ვიზიტის დროს. მასწავლებლების აქტიური ჩართულობით იგეგმება სასკოლო აქტივობები. შესამჩნევია მათი მხრიდან სკოლის პრესტიჟზე ზრუნვა და მიკუთვნილობის, გუნდურობის გრძნობა, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის პერსონალისთვის დანერგილია კომუკაციის სხვადასხვა საშუალებები, მათ შორის ციფრული (მაგალითად, ფეისბუკ გვერდი, რომლის ადმინისტრირება ხორციელდება მხოლოდ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით).

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მექანიზმები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. თანამშორმლობითი და პროექტული სწავლება, მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები, ძალადობისა და კონფლიქტის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებები ასახულია სასკოლო გეგმაში.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რუბრიკები-მათემატიკის კათედრა.
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2022-2023 წწ.
- თვითმმართველობის სხდომის ოქმი N2;
- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

1 **მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

2 მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

3 მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

4 მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1.ინტერვიუს დროს იყო მსჯელობა ამ საკითხთან მიმართებაში და კათედრის წევრებმა გამოხატეს მისი შედგენის მზაობა. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი. ჯგუფის წევრები წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით აკვირდებიან თითოეული პედაგოგის საქმიანობას და მასწავლებელს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება წახალისებულია შესაბამისი ინტერვენციებით. მაგალითად, სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტში განხილულია კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, ადმინისტრაციის, მშობლისა და მოსწავლის ჭრილში.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის დირექტორისა და მასწავლებლებთა მოსაზრებით, შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზი იდენტიფიცირება პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა სკოლაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციაში კარგად იკითხება სკოლის ინტერვენციების განხორციელების მზაობა. 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყო სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტი შექმნა.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი;
- შეფასების-თვითშეფასების რუბრიკები-მათემატიკის კათედრა;
- მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარების გეგმა;
- 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1 შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2 შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3 შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4 შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ჰოლისტურია. გამოყენებულია შემდეგი სახის შეფასების წყაროები: სკოლის საჭიროების შესწავლა, ანკეტირება, დიაგნოსტიკური ტესტირება და სხვა.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში შეფასების დროს გათვალისწინებულია სხვადასხვა კონტექსტი (ინფრასტრუქტურა, გარემო, უსაფრთხოება და სხვ.). სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტში ვკითხულობთ სკოლის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებში: ციტატა “ 1. ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; 3. არაფორმლური განათლების გაძლიერება; 4. სასკოლო კულტურის შენარჩუნება-განვითარება; 5. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის, სოციალური უნარებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარება”.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. მონაცემთა შეგროვების მეთოდები მრავალფეროვანია: ფოკუს ჯგუფების გამოკითხვა, ანკეტირება, დიაგნოსტირება

ინდიკატორი 2.3.2.13 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზის დოკუმენტსა და 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასების ნაწილში გათვალისწინებულია მრავალი ფაქტორი (სკოლის რეპუტაცია , სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის კომუნიკაცია და ა.შ. დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საჭიროების შესწავლის ანალიზი;
- 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1 იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2 კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვისა და რევიზიას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები ატარებენ სამუშაო შეხვედრებს, რათა შეიმუშაონ იმ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში დანერგავენ.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.მასწავლებლებმა და კათედრის თავმჯდომარეებმა აღნიშნეს, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობისა და ვალიდობის მონაცემები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ხოლო კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა 14 (თოთხმეტი) გვერდი

დასკვნა: 192 (ასოთხმოცდათორმეტი) გვერდი

თარიღი 07.08.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: